F75 N 5208
ქ. ფარეულის სახ. სახ. ბიბლიოთეკა

გილოცავთ დღესასწაულს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 102 (18344) შაბათი, 1 მაისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

საპირველმაისო ნოტებები

გამარჯვებულნი

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს შესანიშნავი გუნება-განწყობილებით ხვდება „ელექტროსეტყვშენის“ ტრესტის კოლექტივი. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მეათე ხუთწლედში ამ ორგანიზაციისათვის ტრადიციად იქცა.

სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია მეთერთმეტე ხუთწლედშიც კრძელდება. ახლაც, გაზაფხულის დიდი დღესასწაულის წინ ცნობილი გახდა, რომ ტრესტის კოლექტივი მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით, ზედმიწევნით მეთერთმეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით.

— ჩვენი კოლექტივი, — გვიამბრა ტრესტის მმართველმა გ. სარალაძემ, — თავდადებით იბრძვის პარტიის მიზანდასახულობათა უოუო და ვადამდე განხორციელებისათვის. მიუხედავად სიძნელეებისა, ელექტროელმშენებლები წარმატებით ასრულებენ თავს სახელმწიფო გეგმების შესრულებას. („კომუნისტის“ კორ.).

თბილისის „საქვაშრომონტაჟის“ კომბინატის (დირექტორი — ზ. თინიკაშვილი) კოლექტივი ფაროდ ჩაება საპირველმაისოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აქ ხორციელდება სამაცივრო ტექნოლოგიური მოწყობილობების სარემონტო, სამონტაჟო, საექსპლოატაციო სამუშაოები.

ეფექტანობასთან შრომითის მეტოქეობაში არიან ჩაბმული თითეული სამმაჩრის, უბნისა და ბრიგადის კოლექტივები. მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა კომბინატის სამაცივრო დანადგარების' სარემონტო სამაქრის (ტფრონსი — ა. ავაგიანი) კოლექტივმა. მან ოთხი თვის სახელმწიფო გეგმა ვადამდე შეასრულა.

კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე პირველ კვარტალში შიდასაქართველო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ელექტროძალების შემკეთებელი სამმაჩრის (ტფრონსი — ი. სვინარიოვი) კოლექტივს.

კომბინატში ყურადღება ექცევა სიახლის დანერგვას, ახლახან აქ დაინერგა ჰერმეტული აგრეგატების სარემონტო ტექნოლოგიური ხაზი, რომლის საექსპლოატაციოდ გადაკეთმამ ძნიშვნელოვნად შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯი, გაუმჯობესდა მუშაობის ხარისხი. („კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

თბილისის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის დაჯილდოება მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. მშრომელთა მატნგი, რომელიც კონსტიტუციის მოედანზე ეაიმართა, დასრულდა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლით.

ვ. ბენეშვილის ფოტო.

სიხარულის მაისი

ზარდოზინსთვე ქუშმარიტი გვირგვინია გაზაფხულისა. ამ დროს ბუნება ზეიმობს, იგი საბოლოოდ იმარჯვებს ზამთარზე, გამოხეთქილი კვირტები იშლება, ხასხასა სიმწვანედ იქცევა და არემარეს ნაირფერები ეფინება. აშკარად გრძნობთ ბუნების დღესასწაულს!

ამიტომ მაისი და მისი პირველი დღე შემთხვევით როდი დაუწესებიათ თავიანთ დღედ. რევოლუციური გარდაქმნებისათვის მებრძოლ ჩვენს სახელოვან წინაპრებს.

იგი ბორტ ძალებზე გამარჯვების სიმბოლოც არის!

პირველი მაისი იყო და არის მსოფლიოს მშრომელთა, პროგრესისა და ქვეყნად სიკეთისათვის დასამკვიდრებლად მებრძოლთა ძალების დათვალიერების დღე. ამ მხრივ საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს უდავოდ ბევრის წინ წამოწევა და წარმოჩენა შეუძლიათ. ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია მეთერთმეტე ხუთწლედში, მისი მეორე წლის დასასრულისში, ეკონომიკასა და კულტურაში, შესაძლებლობას გვაძლევს სიამაყით ვთქვათ, რომ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი წარმატებით ხორციელდება.

კვლავაც გეგმაზომიერად ისახამს ხორცს სოციალური პროგრამა, ყველაფერი კეთდება მილიონობით ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალმოსახლეობას თითქმის ყოველთვიურად დღესასწაულობს ასიათასობით ადამიანი.

ქუშმარიტად გმირული შრომისა და თავდადების მაგალითებს ეძლევიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენლები, ისინი იბრძვიან გეგმებისა და ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის. თვალსაჩინოა ქვეყნის წარმატებებში მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების როლი და მნიშვნელობა.

ახლანდელი მაისობა აღინიშნება იმ ღირსსახსოვარ წელს, როცა უნდა ვიზეიმოთ დიდი საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავი. ეს კი მნიშვნელოვანი მომენტია არა მარტო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, არამედ ძვირფასი და სანუკვარია ყველასთვის, ვისაც სწამს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა, მისი დიდი დანიშნულება — გზა უჩვენოს მსოფლიოს მილიონობით ადამიანს, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისა და გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი, ჩვენს დიად ქვეყანაში მცხოვრები მრავალი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი შმობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო, დიახაც, უჩვენებენ მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების უძლეველობის წყარო, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ და თვალსაჩინო გამარჯვებათა საწინდარია.

საბჭოთა ქვეყნის, შმობლიური კომუნისტური პარტიის დიადი მიზანი ყოველთვის იყო და არის ის, რომ კომუნისტურ მშენებლობას მუდამ ჰქონდეს საფუძვლად მშვიდობა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ამიტომ პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება. ოთხმოცდაანი წლების საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის განხორციელება დღეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი და მთავარი მიმართულებაა.

საქართველოში ბოლო პერიოდში ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა შევაჯამოთ ჩვენი მიღწევები მაისიდან მაისამდე. რესპუბლიკის მშრომელებს არასოდეს არ დაუვიწყდებათ გასული წლის მაისი, როცა ასე სიხარულით, ასე ამაყად და აღმაფრენით ვიზეიმეთ საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავი, ამ დღესასწაულზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სტუმრობა და მის გამოსვლებში საქართველოს მისამართით წარმოთქმული გულითადი, წრფელი და სიყვარულით ნათქვამი სიტყვები. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობას, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობას პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელების საქმეში სწორედ მშრომელთა დარაზმვისა და რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის სწორი, სამართლიანი და პირუთვნელი შეფასება მისცა. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები ის სტიმული იყო, რომელმაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სასახელო საქმეების მოსახდენად აღანთო მთელი რესპუბლიკა. ჩვენმა მშრომელებმა მართლაც არ დაზოგეს ძალა, ენერგია და უნარი, რათა კიდევ უფრო მეტი გაეკეთებინათ საყვარელი სამშობლოსათვის, კვლავაც გაემართლებინათ მშობლიური კომუნისტური პარტიის ნდობა.

და აი სწორედ პირველი მაისის დღესასწაულის წინ საქართველოს კვლავ ენვია დიდი სიხარული — რესპუბლიკის გული — ძველი და მარად ახალი თბილისი — რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი წვლილისა და სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთის უპირველესი ორდენით — ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

ეს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი რესპუბლიკის მშრომელთა გარჯის, თავდადების, პატიოსნებისა და სინდის-ნამუსის აღიარებაა. განა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, თუ რაოდენ დიდი შრომა და რუდუნება, სიძნელეებთან ჭიდილი, შელახული ავტორიტეტისა და თავმოყვარეობის აღდგენისათვის ბრძოლა მოუხდა ჩვენს ხალხს, რომ ასეთი დამაჯერებელი შედეგისა და გამარჯვებისათვის მიეღწია? განა დროის რა დიდი მონაკვეთია მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული, ჩვენი რესპუბლიკისა და დედაქალაქისათვის მეტად არსებითი მნიშვნელობის დადგენილება, რომელშიც გაანალიზებული იყო მაშინდელი ძძიმე მდგომარეობა როგორც კულტურისა და სახალხო მეურნეობის, ისე მორალურ-პოლიტიკური ცხოვრების დარგში და დასახული იყო მათი გამოსწორების გზები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ შეძლო სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში დაერაზმა რესპუბლიკის მშრომელები, ნაყყანა ისინი იმ გზით, რომელიც ავტორიტეტსაც აღგვიდგენდა და კვლავაც საბჭოთა ხალხის ავანგარდში ჩაგვაყენებდა. დღეს კი ამას ყველა ხედავს. ამის დასტურია რესპუბლიკის დედაქალაქისათვის ესოდენ საპატიო და დიდი ჯილდოს მინიჭებაც.

ამიტომ ნლევანდელ პირველ მაისს მთავრობის ტრიბუნასთან, განსაკუთრებული სიამაყით და სიხარულით ჩაიცლიან ჩვენი მშრომელები.

ეს ხომ მართლაც გამარჯვებული ხალხის ძალების დათვალიერება იქნება.

ამ სიხარულის და ბედნიერების ყამს არ შეიძლება მეხსიერებაში არ ამოტიტვიდეს მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნავდნენ მაღლელად, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ჩვენი სასიქადულო მშრომელების წინაპრები პირველ მაისობას მლაშე ტბების მიდამოებში შინდის ჯოხზე ნამოცმული შინაკერი დროშით.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მაინც იმ პირველი დიდმნიშვნელოვანი შეკრების ვერც ერთი მონაწილე ვერ წარმოიდგენდა დღევანდელი პირველი მაისის მასშტაბებს, ვერ ივიქრებდა, როგორ გაკვავდებოდა და აღმოცენდებოდა მათ მიერ ნოყიერ ნიადაგში ჩაგდებული თესლი.

გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

ხუთწლედის რიტმი

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ცნობით, უკრაინის, ბელორუსის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის მრეწველობამ შეასრულა პროდუქციის საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების I კვარტალის გეგმა.

წარმოების ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი მიღწეულია ბელორუსიაში, უზბეკეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, მოლდავეთში, სომხეთში.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეასრულა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის I კვარტალის გეგმა.

საქართველოში, აზერბაიჯანში, ლატვასა და ლიტვაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიღებულია პროდუქციის მატების 80 და მეტი პროცენტი.

პროდუქციის საერთო მოცულობაში ზარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილმა ბელორუსიაში შეადგინა 22,8 პროცენტი, ლატვიაში — 18,5 პროცენტი, სომხეთში — 18,3 პროცენტი, ლიტვაში — 17,7 პროცენტი, უკრაინაში — 16,5 პროცენტი.

მოკავშირე რესპუბლიკათა მრეწველობის მუშაკები თავიანთ მეცადინეობას ახმარენ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, რათა უზრუნველყონ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. (საყდესი).

მომავალი ვიზიტის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეითი ნიკოლაოგეის რსუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია ეროვნული განთავისუფლების მთავრობის ხელმძღვანელობის წევრის, ეროვნული განთავისუფლების საბჭოს კოორდინატორის, რევოლუციის კომენდანტის დანიელ ორტეგას მეთაურობით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა ამა წლის მაისის პირველ ნახევარში.

ლენინის ორდენის ერთგული ვარ!

ცალკე ბრიგადრად გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესის საბჭოს მდივნის, ეროვნული ეკონომიკის მოსკოვის ადგილობრივ ორგანოთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება „ლენინიზმი მსოფლიო რევოლუციური ენერგიისა და შემოქმედების უმრეტი წყაროა“. ეს მოხსენება მან 1982 წლის 22 აპრილს წაიკითხა მოსკოვში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 112-ე წლისთავს. ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საყდესი).

- იდიდე, სამშობლოვ, იდიდე!
- სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი
- მთა ჰყვავის და აპრილდება
- ჩაეზარდე მშობელ მიწას ფესვებით!

კლასიკური სტრიქონები ქართული პოეზიის საგანძურიდან

გალაკტიონ ტაბიძე.

გამარჯვებულო, სამშობლო მხარეკ,
სულ დღესასწაულთ გზებით იარე,
ყვავილად დიდება! დღევანდელი დღე
ბრწყინვალეა და სხივ-მსხმოიარე!

◆—◆

მრავალწელს მუხანათს ზიშს ჰგვრიდე,
იმრავლე, იცოცხლე, იმკვიდრე!
ჩანგები გულისკენ მიზიდე,
იდიდე, სამშობლოვ, იდიდე!

გიორგი ლეონიძე.

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყაროს რომ დაიწკრიალოს...
მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

◆—◆

გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მწახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

სიმონ ჩიქოვანი.

დგას ლენინი, ყოველ მწუხრზე
მისი ზრუნვით მთაც ჰყვავის
და აპრილდება.
ჩამავალ მზის შუქი შუბლზე
შეჩერდება და ფიქრივით აფრინდება,
კრემლის ვარსკვლავს ხალხებს
უნთებს
ლენინი, და მტკვარზე უხმობს
მთის არწივებს
და სამშობლოს ყოველ კუთხეს
თავის გულს და თავის სიბრძნეს
უნაწილებს.

იოსებ გრიშაშვილი.

ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად
თავისუფალ საქართველოს ხვედრია.
გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეზარდე მშობელ მიწას
ფესვებით
ახალ თბილისს — ახალ კოკორს
ნალვიძარს
უგალობე ნამუსიან ლექსებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მაჩვენებლებით

პირველი მაისის სახელობისა

თბილისი. პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ნაყოფიერად იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, ღირსეულად ხვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

უკანასკნელ წლებში ფაბრიკის მიერ მოპოვებული მიღწევები საყოველთაოდ არის ცნობილი. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა დარგში, გამოირჩევა წარმოების მაღალი კულტურით. საწარმო ხალხთა მეგობრობის ორდენოსანია, ჩვიდმეტჯერ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და დარგის პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სპეციალური დიპლომი დაიმსახურა. დავძენთ: ფაბრიკის კოლექტივს შარშან მოპოვებული წარმატებებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

საწარმოს კოლექტივმა ამ თვალსაჩინო შედეგებს შრომის სწორი ორგანიზაციით, კადრების შერჩევისა და შესასრულებელი სამუშაოსადმი კონტროლის გაძლიერებით მიაღწია.

მკერავები ტრადიციის ერთგულნი არიან. მათ მნიშვნელოვანი შედეგებით დაამთავრეს წლევანდელი ოთხი თვე. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 380 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს. პირველ კვარტალში საწარმოს ზეგეგმითმა მოგებამ 223 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო წარმოების მთლიან მოცულობაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა 70,6 პროცენტს მიაღწია. პირველი კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით, ფაბრიკის კოლექტივმა კვლავ ისახელა თავი და იგი წარდგენილია საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად.

როგორც ფაბრიკის დირექტორმა ნ. სვანიშვილმა გვითხრა, საწარმოს ყველა საამქროს, უბნის და ბრიგადის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მიაღწიოს დიდ შრომის ნაყოფიერებას, იმუშაოს უწუნოდ, იზრუნოს საწარმოს ავტორიტეტისათვის. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. აქ ფართოდ ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას. მაგალითად, ტექნიკურად დასაბუთებული ახალი ნორმების დასანერგავად ფაბრიკაში შეისწავლეს აქსაის პლასტმასის ქარხნის გამოცდილება— ნორმების გადასინჯვა მუშათა ინიციატივით. ამ გამოცდილების გამოყენებით საწარმომ შარშან ათი ათასი მანეთი დაზოგა. იგი ხელსაყრელი გამოდგა თვით მუშებისათვის. დაზოგილი სახსრების ნახევარი სწორედ მათს მატერიალურ სტიმულირებას მოხმარდა.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა. შეიქმნა 58 ასეთი ბრიგადა და მათში აქ მომუშავეთა 82 პროცენტია გაერთიანებული. ყველა ბრიგადის საბჭო აღწევს შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. იგი წყვეტს მუშათა მიღება-განთავისუფლების საკითხს, ახორციელებს ღონისძიებებს სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის. ბრიგადებისათვის შემუშავდა და დაინერგა შრომითი პასპორტები, რომლებშიც ასახულია კოლექტივის ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრების ეტაპები. თითოეული მუშის ინდივიდუალური წვლილის სრული ასახვის მიზნით გასული წლიდან აქ დაიწყეს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გაანგარიშებით კოლექტიური პრემიის გაცემის წესის გამოყენება. ცალკეულ მუშებს ეს კოეფიციენტი შეიძლება გაეზარდოთ სხვადასხვა ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხის უფრო მაღალ დონეზე მოგვარებისათვის. მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით საგრძნობლად გაიდიდა შრომის ნაყოფიერება, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 105,4 პროცენტით გაიზარდა. გაიდიდა ხელფასი, განმტკიცდა დისციპლინა, ამაღლდა პასუხისმგებლობა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის საწარმოში მოქმედებს ბრიგადირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელიც სსრ კავშირის მსუბუქ მრეწველობის სამინისტროს სპეციალური პროგრამით ხელმძღვანელობს.

საწარმოში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ნედლეულის მომჭირნე ხარჯვას. ყაირათიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ექსპერიმენტული და საგამომჭრელო საამქროები. მარტო შარშან ფაბრიკაში 133 ათასი კვადრატული მეტრი შალის, ბამბისა და სინთეზური ქსოვილი დაიზოგა.

აქ ზრუნავენ არა მარტო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამედ ნაწარმის სასაქონლო სახის შენარჩუნებისთვისაც. ამაღლდა შეკერილი ტანსაცმლის ტრანსპორტირების კულტურა. ფაბრიკის ხელმძღვანელობა მარტო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის როდი ზრუნავს, მისი ყურადღების ცენტრშია მუშა-მოსამსახურეთა სოციალური საკითხების მოგვარება. ფაბრიკის მშრომელთათვის აქ გახსნილია ორმოცდაათადგილიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, სადაც მშვენიერი პირობებია შექმნილი ნორმალური დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის. მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის აქვეა 320-ადგილიანი საბავშვო ბაღი, ყოველ ზაფხულს კი პატარები წყნეთის პიონერთა ბანაკში ისვენებენ.

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა თავის სახელს ღირსეულად ატარებს. იგი ახალი გამარჯვებებითა და მომავლის უკეთესი რწმენით ხვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს.

ლ. ქინქლაძე.

ტემპის მატულობს ყოველდღიურად

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მეორედ იბადება

ქართული საბჭოთა მეტალურგიის პირმშო — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა პირველი ლითონის გამოდნობის დღიდან ნახევარსაუკუნის გასვლის აღსანიშნავი იუბილესათვის ემზადება. ამ ხნის მანძილზე საწარმომ საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიის აღიარებული სახელი მოიპოვა. აქ შემუშავდა და ქვეყნის სხვა ქარხნებში წარმატებით დაინერგა სხვადასხვა კომპონენტიანი ათობით ახალი კომპლექსური გამჟანგველების ტექნოლოგია. ამდენად, დიდია ზესტაფონელ მეტალურგთა წვლილი ლეგირილებული უმაღლესი ხარისხის ფოლადების წარმოების მოცულობის გადიდებაში, რასაც სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს.

საწარმოს ხელახალი დაბადება — ასე შეიძლება ვუწოდოთ იმ უდიდესი მასშტაბის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომლებიც ახლა ქარხანაში მიმდინარეობს. ყოველივე ეს რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების იმ გადაწყვეტილების შესრულების შედეგია, რომელიც ფეროშენადნობთა ქარხნის გარემოს დაცვის, საწარმოს მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას შეეხებოდა. მის შესასრულებლად ბევრი რამ გაკეთდა, მწყობრში ჩადგა ახალი ზემძლავრი ღუმლები აირსაწმენდი მოწყობილობით, ლიკვიდირებულია მავნე აირების ამობოლქვა პირველი სადნობი საამქროდან. ამ ტექნიკურმა სიახლეებმა მკვეთრად აამაღლა ქარხნის მწარმოებლობა, საგრძნობლად შემცირდა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება, კეთილმოეწყო საწარმოს ტერიტორია და, რაც მთავარია, გაუმჯობესდა მეტალურგთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ქარხანაში კვლავ გრძელდება, მშენებლობა საკავშირო დამკვრელურ ობიექტად არის გამოცხადებული. ამ დღეებში რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად აქ იყო სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი გ. ა. კარავაევი.

დიახ, დიდი და საშვილიშვილო საქმე კეთდება. წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს № 4 სადნობი საამქროს ყველა ღუმლის გაზსაწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ახალი ნაგებობა, მართლაც რომ გრანდიოზულია. 4.320 კვადრატულ მეტრ ფართობზე აღიმართება 45 მეტრი სიმაღლის 5.425 ტონა ლითონკონსტრუქციების ურთულესი საინჟინრო ჩანაფიქრის კორპუსი, რომელშიც დამონტაჟდება 2080 ტონა გაზსავალი მილები. შესრულდება 5.700 კუბური მეტრი ბეტონის, 1468 კუბური მეტრი აგურის წყობისა და 800 კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები.

შესასრულებელ სამუშაოთა მასშტაბი და საპროექტო მოცემულობათა უნიკალურობა გონიერ, დაძაბულ და პატრიოტულ შრომას მოითხოვს. მშენებელ-მემონტაჟეთა საქმიანობაზე საყვედურის თქმა უმადურობა იქნებოდა, მაგრამ, მიუხედავად საერთო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა, მუშაობაში ზოგიერთი ხარვეზი მაინც შეიმჩნევა. აი, რა გვითხრა ამის შესახებ მთავარი მოიჯარე № 8 სამშენებლო ტრესტის „ზესტაფონმშენის" სამმართველოს უფროსმა კ. ნიქაბაძემ.

— რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ პირველ კვარტალში დაგვაკლო 785 ტონა კონსტრუქცია. ცხადია, ამან უარყოფითად იმოქმედა მისი პარტნიორის — ქუთაისის ლითონკონსტრუქციების სამმართველოს კოლექტივის მუშაობაზე, რის შედეგადაც მთავარი კორპუსის № 10, № 13 და № 19 ნიშნულებზე დაირღვა გრაფიკი, სამუშაო ფრონტი ვერ მიიღო „მექანმონტაჟის" სამმართველომაც. მხოლოდ აპრილში მივიღეთ 80 ტონა 5-მილიმეტრიანი ფურცლოვანი რკინა. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დასახელებული ნიშნულების გადახურვა, რითაც შეიქმნება ფრონტი 1.120 მილიმეტრი დიამეტრის მილების მონტაჟისათვის.

ამ დღეებში მთლიანად დამთავრდება ყველა ღუმლის გადართვა ახალ საკაბელო ესტაკადზე და აღარ შეფერხდება გრაფიკით გათვალისწინებული მომდევნო სამუშაოები.

ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი „მექანმონტაჟის" სამმართველოს კოლექტივს, რაც რუსთავიდან მილების მიუღებლობით არის გამოწვეული. მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ ორცვლიან მუშაობაზე გადასვლა მოუწევთ და რაც უფრო მალე განახორციელებენ ამას, მით უკეთესი იქნება. მოძალებული საქმე აქვთ „ლითონკონსტრუქციების" სამმართველოსაც. მას ესაჭიროება დამატებით 30-40 მემონტაჟე მესამე ცვლაში სამუშაოდ, თორემ შესაძლოა შეფერხდნენ სხვა ქვემოიჯარე ორგანიზაციები.

თვითდამშვიდების უფლება არც ძირითად მშენებლებს გვაქვს. ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ საშენ მასალათა სამინისტროს აჯამეთის სილიკატების ქარხანამ რიტმულად მოგვაწოდოს ფონდირებული აგური.

ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი ხარვეზი, საერთოდ საგანგაშო მდგომარეობას როდი ქმნის. ახლა ამ ასამოქმედებელ ობიექტზე საპირველმაისო ვახტზე თავდადებით შრომობენ გ. გურგენიძის, ჭ. ცხადაძის კომპლექსური, დ. აბესაძის მედურგლეთა და მემონტაჟეთა და სხვათა ბრიგადები. დამკვრელურად გამოცხადებულ მშენებლობაზე დიდი გადაჭარბებით სრულდება დღიური თუ დეკადური გეგმები, დაცულია სამუშაოთა განრიგი. როგორც ვარაუდობენ, ოქტომბრიდან უკვე შეუდგებიან ცალკეული კვანძების სამუშაო გამოცდას. ეს იქნება არ მარტო მშენებელ-მემონტაჟეთა გამარჯვება, არამედ ზესტაფონის რაიონის და მთელი ამ რეგიონის უდიდესი ზეიმიც.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ № 4 სადნობი საამქროს რვავე ღუმელი ახლა ატმოსფეროში ყოველდღიურად დიდძალ ჭუჭყიან ბოლს უშვებს, გაზსაწმენდი მოწყობილობის მწყობრში ჩადგომის შემდეგ მტვრის რაოდენობა კუბურ მეტრ კვამლში 15-20 მილიგრამამდე შემცირდება, ხოლო წლის განმავლობაში დაჭერილი 19.000 ტონა მანგანუმის მტვერი გამოყენებული იქნება აგლომერატის წარმოებაში. თანამედროვე ტექნიკის უპირატესობა ისიც გახლავთ, რომ ამ ურთულეს დანადგარებს სულ 30 კაცი მოემსახურება და მათი მშენებლობისათვის გაწეულ ხარჯებს ოთხ წელიწადზე უფრო ადრე აანაზღაურებს.

აი, რატომ ვუწოდებთ ამ მშენებლობას არა მარტო საწარმოსათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის საშვილიშვილო და უდიდესი მნიშვნელობის საქმეს.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თბილისი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი დიდი თავდადებით იბრძვის მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის: შემკეთებლებმა წარმატებით შეასრულეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები და უმატეს შრომის ტემპს. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოს მრავალი საამქრო, უბანი და ბრიგადა დაწინაურდა.

ამ სურათზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თ. ნიკოლაიშვილმა აღბეჭდა საპირველმაისო შრომით მეტოქეობაში გამარჯვებულ მუშათა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): მღებავი დ. ცანავა, ზეინკალი ვ. კერესელიძე, ელექტროშემდუღებელი ა. აფაქიძე, უფროსი ოსტატი ა. ყალიჩავა, დურგალი ლ. კუტალაძე, ზეინკალი ო. ჯაჯანიძე და დურგალი ლ. კიკნაძე.

გენიჩესკელები—მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც საფუძველი ჩაეყარა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება და ვითარდება.

ამას წინათ მახარაძეს ეწვია გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს" დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ლევუნოვი ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია პარტიის მახარაძის რაიკომში მიიღეს. პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. თენეიშვილმა სტუმრებს გააცნო აღორძინებული რაიონის მიღწევები, ილაპარაკა სახურხათო პროგრამის წარმატებით განხორციელების გზებსა და მეთოდებზე. დელეგაციის მეთაურმა გ. ლევუნოვმა განაცხადა: . მზიური საქართველოს მიწაზე თავს ისე ვგრძნობთ, როგორც მშობლიური უკრაინის ცისქვეშ.

უკრაინელი მეგობრები ესტუმრნენ სოფელ ბაილეთის უკრაინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელთანაც ისინი შეჯიბრებაში არიან ჩაბმული. შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. ხალამოს გაიმართა მეგობრული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობა „საქართველოს" თვითმოქმედმა ანსამბლმა.

მარტყოფი და მარტყოფელები

ორი ათასი წლის სოფლის სადღეისო საფიქრალი და საზრუნავი

ცნობილი სოფელია მარტყოფი. მეხუთე საუკუნემდე აკრიანი ერქვა. იმის შემდეგ სულ მარტყოფად მოიხსენიება. მეტად გამრჯე ხალხი ცხოვრობს მარტყოფში. იცვლებოდა დრო და ჟამი, ხოლო მარჩენალი მიწის სიყვარული თაობიდან თაობაში გადმოდიოდა.

მხრებგაშლილია მარტყოფი. აქ სამი ათასამდე კომლია, 11 ათასი კაცი ცხოვრობს. სახლები ერთურთს ეჯიბრებიან სიახლეში, კეთილმოწყობაში. ცოტა უხერხულიც კი არის მარტყოფელთა მანქანებზე, ავეჯზე და ათასგვარ სიკეთეზე ლაპარაკი. დღეს ამით ვეღარავის გავაკვირვებთ. ის კი ვთქვათ, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველ სასარგებლო სიახლეს ერთ-ერთნი პირველნი სწორედ მარტყოფელები იმკიან ხოლმე.

ნორჩი თაობა ოთხ საშუალო სკოლაში სწავლობს. მათ აღსაზრდელად თავად მარტყოფელი პედაგოგები ირჯებიან. სოფელს თავისი ექიმები ჰყავს, ყოველ დარგში მარტყოფელი სპეციალისტები მუშაობენ — კულტურის სახლეში, უნივერმაღში, მეურნეობაში.

აჭამადაც კიდევ სამი საბავშვო ბაგა-ბაღი შენდება, თითოეული 140-ადგილიანი. სულ მალე კიდევ 400 დიასახლისი ჩაებმება საერთო შრომაში.

შენდება პურის საცხობი ქარხანა, რომელიც მეზობელ სოფლებსაც დააპურებს.

...და კიდევ სოფელში არის სკოლა-ინტერნატი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც მომავალი ტრაქტორისტები, მებაღეები, მებოსტნეები სწავლობენ. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან ამ სასწავლებელს.

შარშან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც უფროსებს აღარ ჩამორჩება შრომაში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრიგადირმა ალექსი ჩიტიაშვილმა, გია ვარდიაშვილმა, ალექსი შინჯიკაშვილმა, ემზარ მჭედლიშვილმა.

მარტყოფის მეურნეობა თავისთავად ყოველთვის დიდი და ძლიერი იყო. მაგრამ ბევრჯერ სახელმწიფო გეგმები ვერ სრულდებოდა. იყო წლები, როცა მეურნეობას ზარალზე ზარალი მოსდიოდა. მაშასადამე, მეურნეობაში მოიკოჭლებდა შრომის ორგანიზაცია, საქმისადმი მეცნიერული მიდგომა, პირადი პასუხისმგებლობა.

საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონულმა კომიტეტმა ამის შესახებ იმსჯელა. მეურნეობას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საქმეში კარგად ჩახედული კაცი ა. რუსიეშვილი.

ამ მეთერთმეტე ხუთწლედით დაიწყო მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის აღორძინება.

შარშან მარტყოფელებმა სულ 3 მილიონი მანეთის პროდუქცია შექმნეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 9700 ტონა ბოსტნეული, 700 ტონა მარცვლეული, 300 ტონაზე მეტი ყურძენი, 195 ტონა ხილი, 96 ტონა ხორცი, 15 ტონა მატყლი.

ზარალიანი მეურნეობა შარშანვე მომგებიანი გახდა. როგორ მიაღწიეს ამას მარტყოფელებმა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთხელ კიდევ დაგვჭირდება იმის გახსენება, რომ დღეს გარდაბნის რაიონი მეცნიერული სიახლეების დანერგვის პოლიგონად ითვლება. ხოლო ამ მეცნიერულ და საერთოდ ყოველგვარ სასარგებლო სიახლეს მარტყოფის მეურნეობის ხელმძღვანელები დიდი გულისყურით ეკიდებიან.

შარშან გააკეთეს ჩითილების გამოსაყვანი სათბურები და ამ საქმისათვის გამოიყენეს პოლიეთილენი. ახლა მარტყოფელებს წელიწადში სამჯერ გამოჰყავთ ჩითილი, უხვად იღებენ კიტრისა და მწვანილის მოსავალს. წლეულს ამ სათბურის სასარგებლო ფართობი ორჯერ გაიზრდება.

წლეულსვე ფიქრობენ, რომ პოლიეთილენის საფარქვეშ ორ ჰექტარზე მოაწყონ კვალსათბურები. თავკაცები აპირებენ ჩამოაყალიბონ სპეციალიზებული რგოლი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს მეურნეობის მოთხოვნას ხარისხოვან ჩითილებზე. ამ საქმის განხორციელებით დაიზოგება დიდძალი საშენი მასალა, ხე-ტყე, ცემენტი, მინა, შემცირდება შრომის პირდაპირი დანახარჯები.

მეურნეობაში გააუქმეს სპეციალიზებული ბრიგადები და მოსკოვის ოლქის მიწის მშრომელთა გამოცდილებისამებრ შექმნეს კომპლექსური ბრიგადები სრულ შიდასამეურნეო ანგარიშზე.

ეს ბრიგადები გაერთიანებულნი არიან უბნებში, ხოლო უბნები შექმნილია ტერიტორიული პრინციპით. წინათ კი, ვთქვათ, მებოსტნეობის უბანი მთელი მეურნეობის ტერიტორიაზე იყო გაშლილი. მარტყოფს ვრცელი სახნავ-სათესი მამულები აქვს. მებოსტნეთა ბრიგადების მოძრაობა ერთი ნაკვეთიდან მეორემდე ან სოფლიდან ვაზიანის ბოლომდე იწვევდა ძვირფასი დროის დაკარგვას, ხალხი იღლებოდა, შრომა ნაკლებად ნაყოფიერი ხდებოდა. ყველაფერი ერთად კი ეკონომიკურ ზარალს გვაძლევდა.

ახლა უბანს ბოსტნეული მუდმივ სარგებლობაში აქვს მიმაგრებული. უბნის განკარგულებაშია მანქანები, ტრაქტორები, ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ყოველივე ამას ისე გამოიყენებენ, როგორც მათთვის უმჯობესი იქნება, ყოველ უბანს აქვს თავისი ხელფასის, აგრეთვე მატერიალური წახალისებისა და სტიმულირების ფონდი.

უწინ მეურნეობის დირექციაში ყოველ დილით იკარგებოდა ძვირფასი დრო. ბრიგადირები დავობდნენ ხოლმე ამა თუ იმ ტრაქტორის ან მანქანის გამოყენების ან საჭიროების გამო. ახლა ყველამ მშვენივრად იცის თავისი საქმე. თათბირობანა და დროის დაკარგვა საჭირო აღარ არის. ყოველი უბანი მასთან დასაქმებულ ტექნიკას საჭიროებისამებრ იყენებს, თავად ახდენს ტექნიკისა და შრომითი რესურსების მანევრირებას.

შარშან ერთი კარგი საქმე მოაგვარეს მარტყოფელმა მექანიზატორებმა. მარცვლეულის ასაღები სამი კომბაინი გადააკეთეს — ერთი სასენაჟე მასის ასაღებად, მეორე სიმინდის ასაღებად, ხოლო მესამე თივის ავტომანქანებზე დასატვირთად. ამ სიახლის მთელი სიკეთე ის არის, რომ აღოობისას სულ ორი საათია საჭირო, რომ კომბაინები თავიანთ „ძველ პროფესიებს" დაუბრუნდნენ. [illegible] სამი [illegible] გადაკეთდნენ. რა თქმა უნდა, ეს სასარგებლო სიახლეა. მარტყოფელებმა იგი სხვებისგან ისწავლეს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენში მათ ჯერჯერობით მიმდევრები არ გამოუჩნდნენ. საქმე ის არის, რომ ისეთი ძვირფასი მანქანა, როგორიც კომბაინია, წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ერთი თვით არის გამოსაყენებელი. დანარჩენ დროს კი გაჩერებულია. მარტყოფელებმა კომბაინების შრომითი სიცოცხლე 4-5 თვით გაზარდეს, რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

მარტყოფელები გეგმაზომიერად ირჯებიან სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიული ტექნოლოგიის დასანერგავად. ამ გზით აპირებენ ისინი კომბოსტოს, ხახვისა და პამიდორის მოყვანას. ამისათვის შეიძინეს კიდევ პამიდორის, ხახვის, სტაფილოსა და კომბოსტოს ასაღები კომბაინები.

მივაღწიოთ იმას, რომ უზრუნველყოთ სტაბილური მოსავალი ნებისმიერ ბუნებრივ პირობებში! — ეს ლამაზი სურვილია, მაგრამ იგი მხოლოდ წადილად დარჩება, თუ არ გავითვალისწინეთ და არ შევქმენით ის საშუალებები, რომლებიც ყოველთვის შეგვიწყობენ ხელს კარგი მოსავლის მიღებაში, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ა. რუსიშვილმა და დასძინა, რომ მარტყოფის სოფლის მეურნეობის პირველი მტერია გვალვა. „მთავარწყალმშენის" დახმარებით მეურნეობაში აკეთებენ 2 დასაწვიმებელ აგრეგატს, რომელიც 100 ჰექტარ მიწას დაწვიმებით მორწყავს.

რაკი მეურნეობა სარწყავი წყლის ნაკლებობას განიცდის, ამ დეფიციტის შესამცირებლად ფიქრობენ ულევარას ტერიტორიაზე არსებული ხევი ჩაკეტონ. ამ გზით ისინი მილიონ კუბურ მეტრამდე წყალს დააგროვებენ, რაც დამატებით მორწყვაში შეეშველებათ.

მარტყოფელები საქმის ოპერატიული გაძღოლისათვის გამოიყენებენ შიდა სამეურნეო სადისპეტჩერო კავშირს. ოპერატიული კავშირი მეურნეობის 14 ობიექტთან დამყარდება.

უკვე დაწყებულია მუშაობა და ფიქრობენ, რომ წლეულსვე დანერგონ უგანრიგოდ მუშაობის მეთოდი. ამ მეთოდს კი ის სიკეთე აქვს, რომ ამაღლებს პირად პასუხისმგებლობას.

როგორც ვთქვით, მეთერთმეტე ხუთწლედი მარტყოფელებმა კარგად დაიწყეს. თუმცა, როგორც თავად მიაჩნიათ, ეს სწორედაც, რომ დასაწყისია. მთავარი საქმე წინ არის. ხუთწლედის ბოლოსათვის აქაური მშრომელები ახალ მიჯნებზე გავლენ. კერძოდ, სახელმწიფოს მიჰყიდიან 15 ათას ტონამდე ბოსტნეულს, 100 ტონამდე მარცვლეულს, 650 ტონამდე ხილს, 550 ტონა ყურძენს, 2100 ტონა რძეს, 200 ტონა ხორცს.

მათი ეს ვარაუდები რეალურ შესაძლებლობებზეა დაფუძნებული, ახლა მთავარია, რაკი გზა სწორად აქვთ აღებული, კურსი აღარ გაამრუდონ.

ეს უკვე თავად მარტყოფელებზეა დამოკიდებული. მათი იმედი კი დიაღაც რომ უნდა გვქონდეს.

და ერთიც: ორი ათასი წელიწადია აქ სოფელი არსებობს. ათას ხუთასი წელიწადია ამ სოფელს მარტყოფი ჰქვია. ჰოდა, მარტყოფელები დიდი იუბილესათვის ემზადებიან. ოქტომბერში იზეიმებენ თავიანთი ადგილის დედის ოცსაუკუნოვან იუბილეს.

ჭეშმარიტად, დიდი სოფლის დიდი იუბილე იქნება!

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საბჭოეთის ცის ქვეშ

აძიუბჟელი ზანგები

მოგონება

ჩემს მშობლიურ სოფელ აძიუბჟაში ერთადერთ ზანგის ოჯახს მოვესწარი დაახლოებით 70 წლის წინათ. ეს იყო ამბერ აბაშის ოჯახი.

ამბერის გარდაცვალების შემდეგ დარჩა მისი ჯალაბი: ცოლი — საფია, ორი ვაჟი — შააბანი და შირინი, სამი ქალიშვილი — კამჩი, ქსენია და ანტიცა. როგორც ამბობენ, ამბერის მესამე ვაჟი, უფროსი, პეტერბურგის ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა თავად გირგუალ ჩაჩბას (შერვაშიძის) შვილთან ერთად. ისინი მთლად ახალგაზრდები დაიღუპნენ და სამხედრო განათლების მიღებაც კი ვერ მოუსწრიათ.

ამბერის დანარჩენ შვილებს და მეუღლეს კარგად ვიცნობდი, ზოგ მათგანთან ერთად ვსწავლობდი, შემდეგ კი აძიუბჟის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ვმუშაობდი.

აძიუბჟელი ზანგების შესახებ ამბობდნენ, მათი წინაპრები ტყვეთ სყიდვის მსხვერპლნი გამხდარან, აფრიკიდან თურქეთში აღმოჩნდნენ, შემდეგ კი აფხაზეთში — გირგუალ ჩაჩბას მამასთან, რომელიც აფხაზთა მთავრების შთამომავალი იყო. მთავარი სოფელ ტამიშში ცხოვრობდა. სიყმაწვილის წლებში მშობლებთან ერთად ხშირად ვყოფილვარ იქ, მაგრამ გირგუალი და მისი მეუღლე უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ამ ოჯახის შვილი იყო რუსეთის არმიის სახელგანთქმული ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი კ. გ. ჩაჩბა, რომელიც გმირულად დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში.

დღესდღეობით უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აფხაზეთში ზანგების გამოჩენის ამბავი ჯერჯერობით იდუმალებით არის მოცული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აძიუბჟელი ზანგების ბედით არაერთი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერი თუ მწერალი დაინტერესებულა (ზოგიერთი მათგანის მეგზური მეც ვყოფილვარ).

აქაური ზანგების, ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრები (კინდღში, ცხენისწყალში, თხინაში, რეკაში, აჭანდარაში...) დანარჩენი ზანგების მშობლიური ენა აფხაზური იყო, რომელსაც სრულყოფილად ფლობდნენ. ამბერისა და საფიას შვილებმა გარდა ამისა რუსულიც იცოდნენ. როგორც შირინის ქალიშვილი ნუცა ამბობდა, მამამისს თურქულიც სცოდნია.

აძიუბჟელი ზანგი გლეხები თავიანთი ყოფა-ცხოვრების ყაიდით არაფრით არ განსხვავდებოდნენ აფხაზი გლეხებისაგან, რომლებთანაც ყოველთვის სიამტკბილობა ჰქონდათ.

ისინი პატიოსანი, კეთილი და თავაზიანი ადამიანები იყვნენ, გამოირჩეოდნენ მგზნებარე ტემპერამენტით და მუსიკალობით, გამონაკლისი გახლდათ ქსენია აბაში, რომელიც მორცხვი და სიტყვაძუნწი იყო. ნიჭიერებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბაშების უმცროსი და — ანტიცა, რომელიც ჩინებულად ასრულებდა აფხაზურ ხალხურ სიმღერებს. იგი ოსტატურად უკრავდა ჩონგურსა და გიტარას. საფიას პატარა სახლი მუდამ სტუმრებით იყო სავსე. აქ ხშირად იყრიდა თავს ხალხი შრომის შემდეგ სულის მოსათქმელად და სიმღერების მოსასმენად.

დიდად სავალალოდ, ანტიცა სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

სამი დიდან გათხოვილი იყვნენ კამჩი და ქსენია. ისინიც შედარებით ადრე გარდაიცვალნენ. კამჩის, რომელიც კინდღში იყო გათხოვილი ტოფიკ ჭანბაზე, ორი ბავშვი დარჩა: გოგონა ჯუმკუ და ვაჟი შამილი, რომელიც აძიუბჟაში ცხოვრობს პაპისეულ სახლში. შამილ ჭანბა ცოლშვილიანია, შოფრად მუშაობს.

ამბერის უფროსი ვაჟი შააბანი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა აფხაზურ ცხენოსან ასეულში. იგი რუსული არმიის ამ ეროვნული ქვედანაყოფის ბაირახტარი იყო და ბრძოლებში თავგამოჩენისათვის ჯილდოებიც ჰქონდა. მეფის არმიიდან „რევოლუციის იდეებით" შეიარაღებული დაბრუნდა. 1918 წლიდან იგი აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში დიდი ოქტომბრის გამარჯვებისათვის. 1921 წლის თებერვლის დამლევს — მარტის დამდეგს შააბანი აჯანყებულთა შემადგენლობაშია, ხელს უწყობს მენშევიკური გვარდიის წინააღმდეგ წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციების წარმატებას. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შააბანი აფხაზური წითელი ცხენოსანი პოლკის მებრძოლია.

1931 წელს შააბან აბაში კომუნისტურ პარტიაში შედის. იმავე წელს მას პირველი დიდი ნდობა გამოუცხადეს: აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს. იგი პატიოსნად და აქტიურად მუშაობდა სოფელშიც და კოდორის სახერხ ქარხანაშიც და თანასოფლელების და ქარხნის კოლექტივის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. სწორედ ასეთად დამახსომდა იგი: საბჭოთა სამშობლოს მხურვალე პატრიოტად.

შააბან აბაშს ცოლად ჰყავდა აფხაზი, კინდღელი კიუტის ქალიშვილი (ამბერ აბაშის ყველა ქალიშვილისა და ვაჟიშვილის ქორწინება შერეული იყო). მისგან ეყოლა ორი შვილი — ქალ-ვაჟი.

შააბანი 1943 წელს გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა ვალერიმ უმაღლესი განათლება მიიღო, თავის სიცოცხლის ბოლო წლებში მოსკოვში მუშაობდა პედაგოგად და იქვე გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა.

შააბანის უმცროსი ძმა შირინი მამისეულ სახლში ცხოვრობდა დედასთან ერთად და სოფლის მეურნეობას მისდევდა. აძიუბჟაში კოლმეურნეობის შექმნის შემდეგ, ისევე როგორც გლეხკაცობის უმრავლესობა, კოლმეურნეობაში შევიდა, აქტიურად მუშაობდა მრავალი წლის განმავლობაში. აფხაზი იყო შირინის ცოლიც — ლილ კაცია. მასთან ეყოლა ვაჟიშვილი ნური და ქალი ნუცა. ნური მეზღვაურია, ყირიმში ებრძოდა ფაშისტებს, უკანასკნელად იგი 1942 წელს ვნახე. როგორც მისმა დამ მითხრა, იმავე წელს უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

შირინის ქალიშვილის ნუცას ცხოვრება ბედნიერად წარიმართა. 1946 წელს მან სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა და რამდენიმე წელს მუშაობდა მედდად მშობლიურ სოფელში. 1952 წელს მე დამევალა თბილისში ჩამეყვანა ასი აფხაზი ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შეღავათები დაუწესა. აფხაზ აბიტურიენტებს შორის იყო ზანგი ნუცა აბაშიც. მან წარმატებით ჩააბარა გამოცდები და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, რომელიც 1962 წელს დაამთავრა.

ექიმი ნუცა აბაში სოხუმის სამშობიაროში მუშაობს მეან-გინეკოლოგად. დიდად კვალიფიციური სპეციალისტი, პარტიის წევრი ნუცა აბაში დიდ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარს საზოგადოებრივ მუშაობასაც. იგი ორი შვილის დედაა. ქალიშვილი ნაირა ბობილოვა დედის კვალს გაჰყვა, 1978 წელს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა სოხუმის რაიონულ პოლიკლინიკაში მუშაობს ექიმად, გათხოვილია. ნუცას ვაჟმა ვიაჩესლავ ბობილოვმა წარჩინებით დაამთავრა ინდუსტრიული ტექნიკუმის სამშენებლო ფაკულტეტი. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ სოხუმში მუშაობს.

ექიმ ნუცა აბაშის ოჯახს მშვენიერი სამოთახიანი ბინა აქვს ახალ სახლში. მშობლიურ აძიუბჟაში, ბებიასეული სახლის გვერდით ამ ოჯახმა სააგარაკო სახლი დადგა, სადაც, როგორც ნუცას ქმარი ამბობს, ოჯახის ყველა წევრი სიამოვნებით მუშაობს და ისვენებს.

ნუცა აბაში თავის ბიძაშვილთან — შააბანის ქალიშვილ ლიდასთან და ჩოჩო კარბაიასთან ერთად უკანასკნელნი შემორჩნენ აძიუბჟელი ზანგებიდან. ისინი ზედმიწევნით ბედნიერნი არიან და გულწრფელ მადლობას უძღვნიან ჩვენს ლენინურ პარტიას, რომელმაც ისინი, უბრალო ზანგი გლეხების შვილები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ბედნიერი ცხოვრების — სოციალიზმის ნათელ გზაზე დააყენა.

მ. დელბა,
სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომის სიხარული

ოც წელზე მეტია ჩუმლაყის კოლმეურნეობას ვხელმძღვანელობ. [illegible]

[illegible] ნახი პატარძალივით გამოიყურება. ამ ბოლო დღეებში სტიქიური მოვლენებისაგან ზვრები ზოგან წახდა, მაგრამ ჩვენი მევენახეები გულს არ იტეხავენ, დაზიანებულ ვენახებს შვილივით უვლიან და პატრონობენ.

საგაზაფხულო თესვაც დროზე [illegible]

ჩვენს კოლმეურნეობაში საპირველმაისო სიახლეც არის: „ნასახლარებთან" 4,5 ჰექტარი გამოუყენებელი ღელე სანიმუშოდ დავამუშავეთ, შევიტანეთ სასუქები და რკინის კარკასებისა და ცელოფანის სახურავის ქვეშ [illegible]

ვ. ურიუპინი,
[illegible]

თქვენთან ერთად ვართ

ინგურის სანაპიროებზე ლაღად გაშლილ სოფელ [illegible]

[illegible] სანუკვარი დედაქალაქისადმი. ათი უკანასკნელი წლის განმავლობაში როგორ იზარდა, მხრები გაშალა, აშენდა და დამშვენდა ჩვენი თბილისი. მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა მშრომელმა დიდი შრომითა და გარჯით, საქმისადმი ახლებური, ინიციატივიანი მიდგომით [illegible]

გვიყვარს ჩვენი დედაქალაქი. ეს თავის დროზე იმით გამოვხატეთ, რომ ჩვენს კოლმეურნეობას „თბილისი" ვუწოდეთ. იმ დღიდან ლიელები მოწიწებით ვუფრთხილდებით თბილისის სახელს და ვცდილობთ მოუღლელი შრომით არა მარტო მშობლიური სოფე-[illegible]

და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის.

ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში ენერგიას გვმატებს სიხარული იმის გამო, რომ საქართველოს დედაქალაქი — თბილისი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

[illegible]

ვ. სამუშია,
[illegible]

ჯილდოები მამაცური შრომისათვის

ჯალაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოსავლიანი მეგვინახეს მიტოშა სამოგონაძეს ძე კაკაურიძემ გასულ წელს ერთ ჰექტარზე ჩაბარა 7,4 ტონა სახელმწიფოს ჩაბარა 7,4 ტონა ფიფქი. უხვი მოსავლის ოსტატურმა დამკვრელურმა შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოდა.

სამაგალითო ჯილდო ხუთწლედის გვარდიელს გადასცეს სამტრედიის რაიონის კულტურის სახლში გამართულ საზეიმო სხდომაზე. ვ. ს. კაკაურიძესთან ერთად აქ მოიკითხეს ზესტაფონის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, ვანის, საჩხერის, თერჯოლის, ონის, ორჯონიკიძის, ლენინგორის, ზუგდიდის, ქიაგრის რაიონების, წყალტუბოს, ჭიათურისა და ტყიბულის ზონების დაჯილდოებული მშრომელები.

ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გალოშვილმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებს გადასცეს აგრეთვე შრომის წოდელი დრშმის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის“, II და III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

• • •

თავდადებით შრომობს ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთის კოლმეურნეობაში — ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუხუდან ციბილეს ასული კილაძე, რომელმაც შარშან მოკრიფა ბარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი — 15.300 კილოგრამი. ეს 5,300 კილოგრამით აღემატება მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას. მამაცური შრომისათვის მას ლენინის ორდენი მიენიჭა. საშობოლოს ასეთივე საპატიო ჯილდო მიენიჭა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის საუკეთესო მკრეფავს ციისანა ემელიანეს ასულ ყალანდაძეს.

240 კომუნისტი შრომობს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მაზარაძის რაიონის სოფელ შრომის„ კოლმეურნეობაში. აქ სტაბილურად უხვია სუბტროპიკული კულტურების მოსავალი, მეცხოველეობაში მიღწეული წარმატებები უდიდეს ზეღად კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის უნარიანი ორგანიზატორული საქმიანობის შედეგია. სწორედ ამისათვის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი რომან შეავრდელი ძე ცეცხლაძე შრომის წიაღელი დროშის ორდენით დაჯილდოდა.

მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში ჯილდოების გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე თავი მოიყარეს ამ რაიონების წარმოების მოწინავეებმა, ენერგეტიკებმა და სპეციალისტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა მუშაკებმა.

სამშობლოს ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის“, II და III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ ჯილდოდ გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

• • •

ლენინის ორდენით დაჯილდოება მიეღოცა ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჟოლარის კოლმეურნეობის მწველავს ზ. ანისიასს ახალციხის სასათბურე საბჭოთა მეურნეობის მწველავმა თ. მოსიაძემ. თავის მხრივ მანაც მიიღო კოლეგის სასიხარულო მილოცვა ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების გამო.

ზ. ანისიასმა მისთვის მოსავლელად მიჩენილი თოთხმეტი ძროხიდან თითოეულზე გეგმით გათვალისწინებული 2800 კილოგრამის ნაცვლად სამი ათასი ლიტრი რძე მიიღო, მთლიანად შეინარჩუნა ყველა ხბო.

მაღალი მარჯვენებლებისა და შრომითი მამაცობისათვის. მშრომელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სამშობლოს ჯილდოები — ლენინის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი, „საპატიო ნიშნის“, II და III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ მედლები დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატარაშვილმა.

• • •

დაახლოებით 525 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი აწარმოეს და დამუშავდეს საქართველოში მეთეთრმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

შარშან მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში გამოვლენილი შრომითი მამაცობისათვის ამ რაიონების მშრომელთა დიდი ჯგუფი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა.

ზუგდიდში შეიკრიბნენ ფოთის, აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, მესტიის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ცხაკაიასა და ხობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები.

სამშობლოს ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის“, II და III ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისა“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ ხუთწლედის გვარდიელებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ. (საქინფორმი).

ოდა გამარჯვებულ თბილისს

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი კეთილი საქმისათვის აღანთო, შემოქმედებითი სტიმული მიანჭა პოეტებს, მწერლებს, მუსიკოსებს. ამ შესანიშნავ მოვლენას რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, ზ. ფალიაშვილისა და რესპუბლიკის „ხუთნლედის მატიანეს“ პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა **იოსებ კვჭავაძემ** და პოეტმა, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა **შოთა ნიმნინანიძემ** ახალი ნაწარმოები უძღვნეს — „ოდა გამარჯვებულ თბილისს“.

მტერს მახვილით დახვდრნიარ,
მოყვარეს კი თასით ხელშა.
იზრდებიან მგლის ლეკვები
და იმედიც რეკავს ერში.
ეს რა უცნო ფრენია
მთის ფერდობზე დაფენილი?
იქნებ ხოხბის ლეგენდაა,
ვახტანგ მეფის აფრენილი.

მისამღერი: **ვეფხისტყაო გაგიმრავლდეს**
შენი იმერ-ამიერი,
საქართველოს წინამძღოლო,
იყავ მრავალჟამიერი.

მოგზაურო, ამ ქალაქში
უმეგზაურად დაიბნევი,
აქ ნარსული მოგიპარავს
ქუჩებით და აივნებით.
ეს ბანები, აივნები
თარები და საზებია,
ეს ჩუქურთმა—რიკულები
ალბათ მუხამბაზებია.

მისამღერი

დაე, მუდამ იმარჯვებდე,
ჩაუქობდე, კაბაპრობდე,
ზვრებიდან და მინდვრებიდან
სულ ელოდე მახარობლებს.
დაგალოცავ ხარაჩოებს,
რასაც ქედავ, რასაც აგებ,
ქართულ წიგნებს, ქართულ
ფრესკებს,
ახალ ჯილდოს, ახალ ჰანგებს.

მისამღერი

ლექსი შოთა ნიშნიანიძისა. მუსიკა იოსებ კვჭავაძისა.



სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ეტაპი

ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის პრობლემებს. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლიდან ჩვენთან გაბედულად ეწარმოვნენტები განხორციელდა ადმინისტრაციული რაიონებისა და შემდგომ მთელი რესპუბლიკის ფარგლებში აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი მართვის ერთიანი ორგანოს შექმნის შესწავლა.

ამასთან დაკავშირებით ფუძელებელია განისაზღვროს ისიც, თუ მართვის რომელი ფორმები უნდა შეინარჩუნოდ, რომელი ფორმები ქმნის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის დარგში.

ამ საკითხებს ეძღვნება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მიერ ამ დღეებში გამოშვებული ბროშურები „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ეკონომიკური ბერკეტები“, „სოფლის მეურნეობის მართვის საშალო რგოლი“ (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ა. ჭითაია).

ბროშურებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის მოწინავე გამოცდილების, ამბების, მაგალითის, ორის და სხვა რაიონებში განხორციელებული ექსპერიმენტების მაგალითზე განხილულია სოფლის მეურნეობის მართვის რაიონული რგოლის განმტკიცების საკითხები; სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებითა მუშაობის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია მართვის ახალი ორგანიზებული ფორმის ეფექტიანობა, ნაჩვენებია მისი განვითარების პერსპექტივები.



მოკლე ცნობა

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა კ. მახკამოვი, რომელიც მუშაობდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ. (საკენი).

30 აპრილი

საერთაშორისო ლენინური ჟურნალი

ცხოვრება

საკავშირო და ახალი ამბების საკავშირო კორესპონდენტები ეკითხებიან

ფაქტები მოვლენები

● გზა

პრესკონფერენცია ბონში

ბონი. კაცობრიობისათვის არ არის სხვა გონივრული ალტერნატივა, ვიდრე იაროს იმ გზით, **რომელიც დასახა ბელსინკის სრულიად ევროპის თათბირმა, განაცხადა ამ პრესკონფერენციაზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კადარმა.** იგი აქ საბუთია ვიზიტად იყო.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან ჰ. შმიდტთან მოლაპარაკების დროს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ბრეჟნევმა წამოაყენა სსრ კავშირის ჩროფკავშირთა XVII ყრილობაზე, აგრეთვე ტაშკენტში წარმოთქმულ სიტყვებში და „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე გაცემულ პასუხში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, განაცხადა პრესკონფერენციაზე ი. კადარმა, ყოველ ღონეს იხმარს, რათა გამოამტკიცოს მშვიდობა, ილიარეს განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის. უნგრეთი მოითხოვს სადავო საკითხები გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, მორიგების მიაღწიონ ურთიერთმისაღებ საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით მან განსაკუთრებით აღნიშნა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მნიშვნელობა.

ჩრეკსკონფერენციაზე გამოვიდა ფედერალური კანცლერი ჰ. შმიდტი. მან მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კონკრეტულ შედეგებს მიაღწიონ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

კრესკ კაბინეტურეკბს

უკან დაიხიეს

„კუან დო ნიან ზანი“ ჩინეთის პოლიტიკის შესახებ

კანონი. ტაიბეისათვის საბჭდერო აღმასულობის მიუღებს შესახებ ავანგარდონის „გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმამაღალი „პროტესტების“ შემდეგ ჩინეთის მმართველმა წრეებმა უკან დაიხიეს და დათანხმნენ ამერიკა-ტაივანის ამ ავანტიურებას, წერს თავის კომენტარში პანოის „კუან დო ნიან ზანი“.

საკუთარი ნათელია, აღნიშნავს გაზეთი, რომ ეს „პროტესტები“ დენ სიაოპინის დაჯგუფების მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რათა იხტიბარი არ გაეტეხა და ცდილიყო ჩინელი ხალხისგან დაეფარა თავისი ნამდვილი პოზიცია, რომელიც ხელს უწყობს „ორი ჩინეთის“ პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატები რომ ახორციელებს.

დაეთანხმა რა ტაივანისათვის „საბუდრო ალუმინიოლობის“ და არსებითად ნამდვილი იარაღის მიყიდვას, პეკინმა კვლავ დადასტურა უცნაოვის მიმომხილველთა ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ დენსა და მის დაჯგუფებას უფრო სჭირდებათ ამერიკის შეერთებული შტატები, ვიდრე ამერიკას ისინი, აღნიშნავს „კუან დო ნიან ზანი“.

ფარსის ნამდვილი არსი

ნიუ-იორკი. კემპ-დევიდის ანტიარაბული გარიგების მონაწილეთა მიერ გათამაშებული ეგვიპტისათვის ჩინის ნახევარკუნძულის ეგრეთ წოდებულ დაბრუნებასთან დაკავშირებული ფარსი მიზნად ისახავს დედამიწის სფეროს ამ ნავთობით მდიდარ რაიონში ამერიკის სამხედრო ყოფნის შემდგომ ზრდას. ამის შესახებ წერს ამერიკის გაზეთი „დეილი უორლდი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სინის ნახევარკუნძულზე ახლა უკვე ფანდარმერია „სურიელი ინ ეგიპტის“ შემადგენლობაში შემავალი 82 საპაერო-სადესანტო დივიზიის წევრი 1,5 ათასი ამერიკელი დამსჯელი. „სურიელ ეგიპტის ძალების“ ეს ავანგარდული ნაწილები, — აღნიშნავს „დეილი უორლდი“, — შეიძლება ნებისმიერ დროს გამოიყენონ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ფართო მასშტაბის სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად.

გაზეთი წერს, რომ „ახლო აღმოსავლეთში ნამდვილი ზავის მიღწევა შეუძლებელია კემპ-დევიდის შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ხელს აძლევს მხოლოდ შეერთებულ შტატებს“.

მშვიდობის მომხრენო! ამრავლეთ ძალები ყველაზე დიდი უფლებისათვის — სიცოცხლის უფლებისათვის ფიდელ კასტროს ბრძოლაში!

მტაცებელ იბრძოლეთ ბირთვული, ნეიტრონული და ქიმიური იარაღის აკრძალვისათვის!

არ დაუშვათ ბირთვული ომი!

მსოფლიოს — მშვიდობა!

ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ალმების შრიალითა და ბუნების ზასპასა მწვანე ფერებით ეგებება პლანეტა პირველმაისობას — მშვიდობისა და შრომის დღესასწაულს. დედამიწის კონტინენტებზე, ყველაზე მორეულ კუთხეებშიც კი ადამიანები 1 მაისს გამოდიან ქუჩებში, რათა ცხადყონ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

პირველმაისობას დიდი ისტორია აქვს. მას დასაბამი მისცა ჩიკაგოში მიმდინარმა ტრაგედიამ, როცა 96 წლის წინათ მუშები მხოლოდ იმისათვის დახვრიტეს, რომ მოითხოვდნენ კაპიტალისტებს ეცნოთ მათი ელემენტარული უფლებები. მას შემდეგ დედამიწაზე ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის მთავარი მოვლენა იყო 1917 წელს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა საბჭოთაფოს შექმნა.

ამრიგად, ერთ პოლუსზე შეიქმნა და ამყარდა ეფექტურად თავისუფალი ზრომის სამყარო, მეორეზე — შემორჩა და დღემდე არსებობს ექსპლოატაციისა და ძალადმომრეობის სამყარო, რომელიც წარსულს ბარდება. მაგრამ ეს — მსოფლიოს კაპიტალისტური ნაწილში მძლავრ ძალად იქცა მუშათა და კომუნისტური მოძრაობა. დაიშალა კოლონიური იმპერიები და ისტორიული პროცესის აქტიური მონაწილეე გახდა ათობით წინათ მიეღწყვეტელი და ჩაგრული ერი. ბევრი მათგანი სოციალისტური განვითარების გზას ირჩევს.

კაპიტალიზმის მთავარ ცენტრებში ვითარება ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მერყეობა. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც თავი კაპიტალისტური სისტემის ბურჯად მიაჩნია, ოთხ შემდგომ პერიოდში ყველაზე ღრმა საწარმოო დაქვეითებას განიცდის. კრიზისმა სხვა ქვეყნებიც მოიცვა. როგორც ამერიკული ჟურნალი „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერს, „ლონდონიდან ბონამდე, ოტავიდან ტოკიოამდე დაქვეითება მთელ მსოფლიოში ვრცელდება, რომელიც ზიანს აყენებს თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანას“. 11 მილიონი უმუშევარი დასავლეთ ევროპაში და 10 მილიონი შეერთებულ შტატებში — ასეთია მონობოლიების ბატონობის საბალანსო შედეგი.

მაგრამ კაპიტალიზმი, როგორც სისტემა არ აპირებს თავისი ნებით ისტორიული ასპარეზის დატოვებას, მას დღემდე აქვს გარკვეული ბერკეტები თავისი ინტერესებისა ეცნოთ ინტერნაციონალური უფლებები. ამპერიალისტური მონოპოლიები ბანგრიბნენ ბატონობისაგან განთავისუფლდნენ. კაპიტალიზმს ეკონომიკური სიძლიერნი მშრომელთა ხარჯზე სურს დაძლიოს.

ფრანგულ ჟურნალ „მონდ დიპლომატიკის“ მონაცემებით, ბოლო ათწლეულში ამერიკელ მშრომელთა რეალური ხელფასი 1962 წლის დონემდე დავიდა, ხოლო კაპიტალისთვის დაეიდენდა გადასახადების გამოკლებით — 174 პროცენტით, ხოლო კორპორაციათა ხელმძღვანელების შემოსავალი — 176 პროცენტით.

მონოპოლიათა შეტევას კაპიტალის ქვეყნების მშრომელები ეკსპლოატაციის წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლაში თავიანთი რიგების შეკავშირებით უპასუხებენ. საგაფიცო ბრძოლის ფრონტებზე ხდება პირველმაისობის ასოციასიობით მშრომელი შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის მშრომელები, საზეიმო საპირველმაისო კოლონებიდან ძმურ სალამს უთვლიან კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, მორობოლიების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მშრომელთა უფლებებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლებს.

არც ერთი სხვა საზოგადოებრივი არ ბოუკეთებია იმდენი, რამდენიც საბჭოთა კავშირმა გააკეთა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, ევროპის მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის კონტინენტად გადაქცევისათვის. მსოფლიოს ხალხები დიდად აფასებენ ამ მეცადინეობას, იმ ენერგიას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბარენ სკკ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული 80. ანი წლების სამშვიდობო პროგრამის განხორციელებას.

საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გამწვავება, რომელიც იმპერიალიზმის აგრესიულობის ზრდის შედეგია, კიდევ უფრო აქტიურს ხდის საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის ხორცშესხმას, ეწინააღმდეგ საფრთხეებს, ომ-ლებიც გამოიტანენ. შეიარაღებების ლაგამვას ეხება. დაძაბულობის ეკონომიკურ საბჭოთა კავშირი უპირისპირებს ახალ სამშვიდობო ინიციატივებს. ამ ბანაგი ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობაზე და ტაშკენტში ჩამოყალიბებულია კონსტრუქციულ წინადადებათა მთელი კომპლექსი. ეს ახალი ინიციატივები ყოველ ქვეყნას, მისი მთავრობის წინაშე აყენებს დღეკანდელობის მთავარ საკითხს: რა გზით ვიროთ? მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების გზით თუ დაძაბულობის ზრდის, გამალებული შეიარაღებისა და ომის გზით?

ამ კითხვაზე ნათელ და გარკვეულ პასუხს აძლევს მსოფლიოში სულ უფრო მხარი მოძრაობა ახალი ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად. მშვიდობის საქმის ერთგულია მლანი — სოციალისტური თანამეგობრობა, მომძე კომუნისტური პარტიები, მუშათა საერთაშორისო მოძრაობა, მეუშაობრეული ქვეყნების ხალხები. მშვიდობისათვის იბრძვიან ყველა კონტინენტის, ყველა ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები, მათ შორის დასავლეთ ევროპაში, იაპონიაში და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ასეთ პირობებში ეკონომიკური ეფექტ პოლიტიკურ მანევრებს მიმართავს და საზოგადოებრივის მოსატყუებლად ცდილობს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შესახებ მოლაპარაკებანიც კი გამოიყენოს. მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი რწმუნდება, რომ ამერიკის ადმინისტრაცია, თუმცა იძულებული გახდა დათანხმებოდა მოლაპარაკებას, ამას აკეთებს არა თანასწორუფლებიანი, სამართლიანი ურთიერთობის დასამყარებლად, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შეკრას ილუზია „და მოალუოს საზოგადოებრივის სიფხიზლე, გააგრძოს გამალებული შეიარაღება. ვაშინგტონის ნამდვილ მიზნებს მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამერიკის მეთითებით ბრიუსელში უკიდურესად მემარჯვენე მოღალეფუთა ჯგუფისაგან შექმნა საგანგებო ინსტიტუტი, რომელსაც დავალებული აქვს მშვიდობისათვის დღითი დღე მზარი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგრამ ევროპეთი მანეკენები, ევროპეთი დიფერენციები ვერ შეაფერებენ ომის საწინააღმდეგო გამოსვლების სიმწვავეს. საბრალმისო კოლონებში მიაბიჯებენ მშვიდობის მომხრეთა სხვადასხვა რაზმის წარმომადგენლები, და მთის დროშებზე სხვადასხვა ენაზე წაიკითხავთ ლოზუნგები: „არ დაუშვათ ბირთვული ომი! მშვიდობა — მსოფლიოს!“.

საქართველოს ᲐᲡᲐᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

საპროტესტო დემონსტრაციები

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ტოკიოში გაიმართა ორასათასიანი საპრეტესტო დემონსტრაცია დ. სუძუკის კაბინეტის ფინანსური პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკისა, რომელიც მხოლოდ მსხვილი კაპიტალის ინტერესებს შეესაბამება. ეგრეთ წოდებული „ფინანსური რეკონსტრუქციის“ დემაგოგიური ლოზუნგის ნიღბით იაპონიის მთავრობა ზრდის მრავალრიცხოვან გადასახადს, ხელს უწყობს ხელფასის გაყინვას, თვალს უხუჭავს პირველი მოხმარების საქონლის გაძვირებას.

სურათზე (ზემოთ): მანიფესტანტები ტოკიოს ქუჩებში. პლაკატებზე წარწერილია ლოზუნგები: „შეგვიმცირეთ გადასახადები, მოგვიმატეთ ხელფასი!“.

ᲯᲐᲞᲐᲜ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲔᲜᲘᲡ ფოტო.

გაფიცვები

● ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ბოლო წლებში გაუგონარი სოციალური კონფლიქტების გაჩნევების პერიოდი უდგას, მუშათა და მოსახლეობის მთავარ იარაღად იქცა გაფიცვები, რომლებმაც ქვეყნის თითქმის მთელი ტერიტორია მოიცვა. ბელგიის შრომის საყოველთაო ფედერაციის მოწოდებით მათში მონაწილეობენ მშრომელთა მრავალრიცხოვანი რაზმები.

სურათზე: მეტალურგიული ქარხნების გაფიცული მუშები, რომლებსაც ნარმოების შეკვეცის გამო ახალი დათხოვნები მოელით.

ᲞᲠᲔᲡᲜᲔᲡ ᲑᲘᲚᲓ-ᲡᲐᲥᲔᲜᲘᲡ ფოტო.

უმუშევრობა

● ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მასობრივი უმუშევრობა, რომელმაც დიდ ბრიტანეთში 3-მილიონიან მაჯნან გადაკვარა, ნამდვილ ტრაგედიად იქცა ქვეყნის მრავალი მეზობრებისათვის, ეს ნათქვამია ინგლისის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ მოხსენებაში, ისინი აღნიშნავენ, რომ უმუშევრობის ზრდასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყანაში თვითმკვლელობისა და ფსიქიურ დაავადებათა რიცხვის გადიდება.

● ᲐᲕᲗ

საპირველმაისო მოწოდება

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 მაისის დღესასწაულის ორგანიზაციის კომიტეტმა ამერიკის საზოგადოებრიობას მოუწოდა მასობრივი მონაწილეობა მიიღოს მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის ფარგლებში მთელ ქვეყანაში დასახულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

კომიტეტის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საპირველმაისო დემონსტრაციები მოეწყობა ახალდელი ადმინისტრაციის სამინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, რასისტთან ბრძოლისა და რასობრივი დისკრიმინაციის ლიმოფეტრის კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ისევ ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედის ხუთწლედი

დილარ ივარდავა



ამერიკა! სიმდიდრისა და სიღარიბის, სენსაციისა და რეკლამების, იმედებისა და უიმედობის, მწუხარებისა და სიხარულის, ერთი სიტყვით, მაქსიმალურად კონტრასტების ქვეყანაა.

ხუთი საუკუნის განმავლობაში (ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენიდან —1492 წლიდან დღემდე) ევროპელებმა (ინგლისელები, ესპანელები, იტალიელები, გერმანელები, ჰოლანდიელები და სხვ.) მთელი ამერიკის კონტინენტი გაითავისეს; ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები (აბორიგენი ინდიელები, ესკიმოსები) გადაშენებამდე მიიყვანეს...

თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ განსხვავებულ, სხვადასხვა ქვეყანას ნახავთ. ეს არის: არმორისების, ფორდების, მორგანების, მილიონერთა და მილიარდერთა ძალმომრეობის, უფლებამოსილების, ყოვლისშემძლეობის ქვეყანა და სურნელოვანი პრერიის თავისუფლებისმოყვარულთა, მაგრამ ლატაკთა, უფლებაწართმეულთა, ფენიმორ კუპერის გმირების მონათესავეთა — ინდიელთა, ზანგთა, თეთრკანიანთა — უოლტ უიტმენის, კარლ სენდბერგის, ლუთერ კინგის, პოლ რობსონის და მილიონობით სხვათა, მშვიდობისათვის, თანასწორობისათვის, დემოკრატიისათვის მებრძოლთა სამშობლო...

დღევანდელი, რეიგანისეული შეერთებული შტატები გამალებული შეიარაღების, ინტერვენციის, სხვათა ქვეყნების ხელმყოფი, მოძალადე ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო ქვეყნებს, მათ პროგრესს, მშვიდობას, ცივილიზაციას ნეიტრონის, წყალბადის, ბირთვულის თუ სხვა ათასგვარ ულტრაგამანადგურებელ იარაღთა საშიშროებისა და უკიდურესი დაძაბულობის ზღურბლზე აყენებს.

ვცდილობდი ახალი ლექსების წიგნში „ამერიკის დღეგასაყართან“ ამ ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მოქცეული ორი რეალური, დიამეტრულად საწინააღმდეგო ქვეყანა დამეხატა თავისი ძირითადი ნიშან-თვისებებით.

ახალი წელი...

სანტა-კლაუსი

ცრუო საწუთროვ,
ცრემლის აუზი
წინ გვხვდება,
როგორც ნარღვნა — იაფეტს...
ხედავ? ახალ წელს
სანტა-კლაუსი
დახეულ დროშის
ძონძებს მიაფრენს!

გაუდაბნოვდა
სინდის-ნამუსი,
როგორ?
მოუვალს მართლა ელოდით?!
აკი გჯეროდათ
სანტა-კლაუსის
რწმენით ალსავსე სადღეგრძელოსი?!

ხალხს მოთმინების
თასი აღუვსეთ,
თასი კი არა,
უფრო ფიალა,

უშამპანგებოდ
ამერიკის
მთა და ხეობა
ყრუ მისანივით
დროის ქარაფს
მიემსხვრეოდა!!!

რას, რას გპირდებათ
სანტა-კლაუსი,
როდესაც ირგვლივ
ანარქიაა!

უიტმენი

პინესოტის უნივერსიტეტში მისახსოვრეს უიტმენის კრებული „ბალახის ფოთლები“.

მზის,
წყლის,
ჰაერის,
ქლოროფილის
სხივებად ქცეულს,
ახლა ზვარაკად
შემოგავლებ
დასაშლელ სხეულს...

სიმწვანეში თუ
შემოდგომის სიბადაგემდე
ან შენი ჩანგი
თაფლის ფიჭას
უნდა ბადებდეს...

ხელში მიჭირავს
წიგნი —
ცეცხლის
ბრდღვიალა ტოტი —
ის აგუგუნებს
ჰუზენაეს,
ღვთაებრივ მოტივს!

ღმერთო, არგუნე მოკვდავს
ის, რაც
კვლავ ემალება —
ნათელმხილველის
ჭვრეტის ძალა,
იდუმალება!

...პქუხს ატლანტიკა...
ბურუსივით
მოინისლება
უოლტის ენება —
ჩანგისა და
აზრის ღირსება!

მიწის ყივილი

ყველას თავისი სისხლი და გენი
ახლავს აქ შანთით და ხატკივარით...
მაღალი ძაბვის მავთულში დენი —
აი სამშობლო! —
სულში მკივანი...

არადა, იქნებ,
ვინ იცის, იქნებ
მაჟორი დათმეს — აწყობთ მინორი...
ტყუილად ვტანჯავთ ჩვენს ფიქრში
ფიქრებს
პიატიგორსკის თუ რახმანინოვის?!

არადა, სიზმრებს, სულ უნდა სდიონ,
ეკუთვნით იმ დროს, რაც აღარ მოვა!
თავის ნაბიჯზე ჯვარს ეცვა მიიო,
ალბათ, ღვრის ცრემლებს კვლავ
მაკაროვა!

სამშობლო — გული და თვალისჩინი,
არ დაითმობა ფიქრშიც არვისი, —
ეტრფის ქართლის მზეს ჯორჯ
ბალანჩინი,
თეთრ ღამეებზე სწუხსო სტრავინსკი!

— რა გადახდება, კაცმა რა იცის,
მაგრამ სამშობლო წამითაც არა,
არ უნდა დათმო, — წუხდა რაიტი,
უკვე მისული საფლავის კარად!

ბევრი ჰანგი თუ სიტყვის ქსოვილი
აქ ნოსტალგიით მოიქსოვება, —
ო, რა ძნელია ცრემლით სოველი,
უსამშობლოთა ბოლო ცხოვრება!

ასე იწყებოდა...

ძველი გაზეთების ფურცლებზე

„ივერია“

„ამ დღეებში სოციალისტების კომიტეტს ბერლინში გამოუცხადებია პროკლამაცია და მთელის გერმანიის მუშებს ურჩევს პირველ მაისს მანიფესტაცია მოახდინეთო და მოითხოვეთ, რომ დღეში 8 საათზე მეტი არ გამუშავონო. ამ ნაირს მოთხოვნილების ანუ პეტიციისათვის მუშებს ხელს აწერინებენ და კომიტეტი დარწმუნებულია, ორ მილიონზე მეტი იქნება ხელის მომწერელიო“.

* * *

ლვოვში ურიცხვ — მუშათა კრებას გადაუწყვეტია, მთელს გალიჩინაში მანიფესტაციები მოვახდინოთო. გადაწყვეტილ იქმნა აგრეთვე, რომ 1 მაისს ლასალის საფლავი გვირგვინით შევამკოთო“.

1890 წ.

„...1889 წლის 21 ივლისის მუშათა საერთაშორისო კონგრესზე პარიზში გადასწყვიტეს პრინციპიალურად რომ ერთ წინდაწინვე დანიშნულ დღეს ყველა ქვეყნის მუშებს გამართათ დღესასწაული, — ეუქმათ — [illegible] და ამგვარად მთელის ქვეყნიერების მუშათა სოლიდარობა გამოეხატათ. ამგვარ დღედ დანიშნულ იქმნა შემდეგის, 1890 წლის პირველი მაისი.

მაგრამ მაშინ გადაწყვეტილი არ იყო, რომ პირველ მაისს უქმობა ყოველ წლიწადს უნდა განმეორებულიყო და რომ ამ უქმე დღეს პერიოდული დღესასწაულის ხასიათი უნდა მისცემოდა.

ეს ხასიათი პირველ მაისს მისცა 1891 წლის საერთაშორისო მუშათა პარტიების კონგრესმა, რომელმაც დაადგინა, რომ მუშებმა ეს დღე ყველა ქვეყნებში უნდა იუქმონ და ამით ბურჟუაზიულ საზოგადოებას თავისი კლასობრივი ცნობიერება წინ წამოუყენონო“.

„ქუთაისიდან დეპეშით გვწერენ: 30 აპრილს, მაისობის წინა დღეს მაღაზიები და დუქნები დაკეტეს. მუშაობა ყველგან შესწყდა“.

„ბუზინ, 2 მაისს, ცხრამეტი დღის გაფიცვის შემდეგ, ტრამვაის კონდუქტორებმა და ვატმანებმა გაიმარჯვეს. ნაშუადღევის სამის ნახევარ საათზე ჩამოიარა ბაირაღებით მორთულმა პირველმა ვაგონმა, რომელშიაც ისხდნენ კონდუქტორები და ვატმანები. ხალხი და თითონაც ალტაცებულ „ურასა“ ჰყვიროდნენ“.

1905 წ.

„კვალი“

„1889 წელს მოხდა პარიჟში მუშათა საერთაშორისო კონგრესი და აშ კონგრესზე დაადგინეს დელეგატებმა პირველი მაისის დღეობა. მას შემდეგ მთელი ევროპის მუშა ხალხი დღესასწაულობს 1 მაისს, უქმობს და მთელ დღეს დემონსტრაციებში, ორატორების სიტყვის მოსმენაში და საზოგადოთ თავისი კლასიური თვით ცნობიერების გამოცხადებაში ატარებს“.

1898 წ.



დაე, იშრიალოს კაკლის ხემ!

ნაკვესები

- კაკლის ხემ თქვა: დუშელი ბიჭები რომ დუმშან არ გაახარებდნენ, აქამდეც ვიცოდიო.
- დიასახლისმა ჩაუნაკვესა— ნიგოზი ძვირფასია, მაგრამ უფრო გამახარებთ, თუ ძვირ-ფასი აღარ იქნებაო.
- კაკალი: ჩემი ფორმულა მოკლეა „გამახარე, გაგახარებო“.
- კაკალმა გაიხარა — ბამბასავით ხმაჩაქმენდილი ვიყავ და აწი კი აჟღრიალდებიო.
- კაკლის ხე მარტო ეზოს კი არ მიჩრდილავს, გაჭირვებასაც მიჩრდილავსო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

შეტევა მთის გულში გრძელდება

● ● გაგრის შემოვლითი გზის მშენებლობაზე

კურორტ გაგრაში უკვე მესამე წელია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის შემოსავლელი გზის გაყვანის სამუშაოები. ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამ ცამეტკილომეტრიანი მთის ტრასის ერთ-ერთი რთული საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებით არის გათვალისწინებული.

გზის მთელ მანძილზე გაგრის ზონაში გაყვანილი იქნება ოთხი გვირაბი, რომელთა საერთო სიგრძე 4,5 კილომეტრს შეადგენს. ამჟამად აქ ორი გვირაბი შენდება. მოასფალტებული ტრასის დანარჩენი ნაწილი შენდება ჩვეულებრივად, ხოლო მათ შორის გამავალ ხეობებზე გაიდება ხიდები, ძველ გზებს გადაკვეთენ სპეციალური გზაგამტარი ნაგებობანი, მოეწყობა გადასახედები, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმდება გვირაბის შესასვლელები და გასასვლელები. ამ ახალი საკურორტო მაგისტრალის გაშენებით კიდევ უფრო გაფართოვდება და გალამაზდება გაგრა. მთავარი შემოსასვლელი სატრანსპორტო ტრასა მთლიანად განტვირთავს კურორტს სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების ნაკადისაგან და გაჭუჭყიანებისაგან დაიცავს გარემოს.

გარდა გაგრის ზონისა, პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო გზატკეცილის მთლიანად რეკონსტრუქცია ქალაქების სოხუმის, გუდაუთის, დაბა ახალი ათონის შემოვლითი გზების მშენებლობის ჩათვლით. მარტო გაგრის შემოვლითი გზის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 39,3 მილიონი მანეთია.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს გაგრის შემოვლითი გზის მშენებლობაზე. აქ მთის გულში ორი გვირაბის გაყვანა ოთხი სამუშაო ფრონტით წარიმართება. მშენებარე მიწისქვეშა მაგისტრალში, რომლის საერთო სიგრძე 2.086 მეტრს უდრის, შემჭიდროვებული გრაფიკით, გვირაბის გაყვანის ჩქაროსნული მეთოდების გამოყენებით ერთმანეთის შესახვედრად მოიწევდნენ მერაბ ქიტიძის, იგორ ლატარიას, ავთანდილ ედიბერიძის და ზონდო ონიანის ბრიგადები. მშენებლობაზე მათ მიწისქვეშა სწრაფმსვლელებს ეძახიან. ზუსტად დანიშნულ დროს — 16 საათზე შეირყა № 1 გვირაბის გამმიჯნავი კედელი და გვირაბის ორივე მხარე შეერთდა, ხოლო ორი საათის შემდეგ იგივე განმეორდა № 2 გვირაბში. გვირაბგამყვანებმა ერთმანეთს პირველი დიდი გამარჯვება მიულოცეს. ეს საერთოდ, ენგურჰესის მშენებლების ერთ-ერთი მორიგი გამარჯვებაა. მათ უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე კავკასიონის მთისწინეთში არაერთი წარმატება მოუპოვებიათ.

ენგურჰესის მშენებელთა კოლექტივს მიწისქვეშა სამუშაოების წარმოების დიდი გამოცდილების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მაღალი კვალიფიკაციის გამო დაევალა შავი ზღვისპირეთის გზატკეცილის მთიანი მონაკვეთის გაყვანა ქალაქ კურორტ გაგრის შემოვლით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების რთული გეოლოგიური პირობების მიუხედავად, ენგურელი გვირაბმშენებლები შეუფერხებლად მიიწევენ მიზნისაკენ. მიწისქვეშა საავტომობილო გზის პირველი რიგის მშენებლობა ვადამდე სამი თვით ადრე დამთავრდა. დამთავრდა ორივე გვირაბის ზედა ნაწილის გაყვანა, ასევე დასასრულს უახლოვდება გვირაბების გამაგრება და რკინაბეტონით დამონტაჟება.

— გვირაბგამყვანთა დამკვრელური რაზმი აშენებს გაგრის შემოვლითს გზას, — გვითხრა ენგურჰესის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის უფროსმა, ცნობილმა ჰიდრომშენებელმა მ. ჭაავამ, — მათ შორის არიან ენგურჰესის გამოცდილი მშენებლები, უბნის უფროსები, ინჟინრები ბ. რუხაია, ო. ჭანტურია, ცვლის ოსტატები ო. ლომთათიძე, ი. რევია, პ. ფიფია, მ. ცაგარეიშვილი, გ. შენგელია, ნ. ფოტინი, თ. ჩიჩუა, გამყვანები ა. გიორგაძე, ვ. როდიონოვი, ვ. გუგავა, ძმები რეზო, დავით და ვალერი პაპიები, ვ. ბაროვსკი, ნ. ტაბილინი, ზეინკალი ი. გერლოტი, ოსტატ-ამფეთქებელი ა. სმირნოვი, მძღოლები ჯ. სიმსიმი, გ. ჭუჯღაშვილი, ვ. დარცმელია, სამუშაოთა გეოლოგიურ ნაწილს უნარიანად ემსახურება გეოლოგი ა. მარტიროსოვი.

გაგრის შემოვლითს გზას, ენგურჰესელებთან ერთად აშენებენ „ინჟმშენის“, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მესამე საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, ხიდების მშენებელი № 39 რაზმის კოლექტივები. შემოვლითი გზის მშენებლობაზე წარმატებით შრომობენ გაგრის სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოების მძღოლები.

გაგრელი მშენებლები წარმატებით შეუდგნენ მიწისქვეშა მაგისტრალის მეორე რიგის (გვირაბის ქვედა ნაწილის) მშენებლობას.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიეძღვნა საზეიმო მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ილაპარაკეს მომავალი გეგმებზე, იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც მშრომელთა დასვენებისათვის იჩენენ მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

გაგრელი გვირაბგამყვანები მიტინგიდან პირდაპირ თავიანთ სამუშაო ადგილებისაკენ გაემართნენ.

შეტევა მთის გულში გრძელდება.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მოწინავე მებულდოზერე ბ. ქობალია.
ი. მოხონელიძის ფოტო.

მოდით, ვეწვიოთ პარკებს!

გაზაფხული ნორჩი სიმწვანისა და ფიფქა ყვავილების ისეთი ნაზი სურნელით შემობრძანდა, რომ წამსვე გვაგრძნობინა თავისი ძალა.

ქალაქი აივსო ხალისიანი ხმებითა და ცინცხალი ფერებით, ბაღები და სკვერები უკვე გამოაცოცხლეს მოსეირნეებმა, მაგრამ ოფიციალურად მხოლოდ დღეს, პირველ მაისს გაიხსნება პარკებში ახალი სეზონი.

სეზონის გახსნა ყველგან და ყოველთვის მღელვარე და მნიშვნელოვანი მოვლენაა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვაჟა რამიშვილს ვთხოვეთ მოეთხრო, თუ როგორ მოემზადნენ ახალი სეზონისათვის.

აი, რა გვიამბო მან:

— საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1982 წლის 11 თებერვალს მიიღო დადგენილება „ქალაქის ბაღებისა და პარკების საგაზაფხულო სეზონისათვის მზადების შესახებ“ და სათანადო ორგანოებს დაევალათ პარკებში გამწვანების გაახლება, განათების, შადრევნებისა და საპარკო შენობა-ნაგებობების შეკეთება.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ახალი საზაფხულო თეატრი, გაკეთდა ორი ახალი გადასახედი და საბავშვო საჭყუმპალაო, მოეწყო რამდენიმე ახალი დეკორატიული კუთხე. პარკი მონაწილეობას მიიღებს „პარკების საუკეთესო არქიტექტურული გაფორმების“ გამოსავლენად გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში. სხვათა შორის, ამ კონკურსის შარშანდელი ლაურეატი თბილისის გამარჯვების პარკი გახლდათ.

გამარჯვების პარკში შეიქმნა რესპუბლიკაში ერთადერთი სპორტული ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელიც უთუოდ სასიამოვნო სიურპრიზი იქნება სპორტით გატაცებული დამსვენებლებისათვის; რეკონსტრუირებულია ფერადი შადრევანი, აშენდა სპეციალური დანადგარი პარკის კასკადის სისტემაში მოსაყვანად, დაიდგა ახალი სტენდები, წესრიგში მოიყვანეს ნარგავები, შეიქმნა ახალი ყვავილოვანი თარგები ორანჟერეიდან გადმორგული ყვავილებით.

ვასილ კიკვიძის სახელობის პარკში მალე მწყობრში ჩადგება საპარაშუტო კოშკი. გადაიხურა ღია ესტრადა, მოეწყო პენსიონერთა დასასვენებელი კუთხე.

ახალი სპორტული ქალაქი მოეწყო პარტიზანების სახელობის პარკში, რომელიც მრავალ სასიამოვნო წუთს ჰპირდება არა მარტო ბავშვებს, არამედ მოზრდილებსაც.

ახალი ატრაქციონები დაიდგა ორჯონიკიძის სახელობის პარკში. აქ კვლავაც ლამაზად, შინაარსიანად და ხალისიანად დაისვენებენ ჩვენი ყმაწვილები.

მეგობრობის პარკშიც მოეწყო ახალი ავტოდრომი, შეკეთდა დეკორატიული აუზი, აგრეთვე გადაწყვეტილი გვაქვს აღვადგინოთ და გამოვიყენოთ ძველი კინოესტრადა.

თბილისის ზღვაზე მდებარე პარკში მიმდინარეობს პლაჟის კეთილმოწყობის სამუშაოები; შეიქმნა სპეციალური სამმართველო, რომელიც იმუშავებს ამ პარკის განაშენიანების საკითხებზე, იმედია, ამ მუშაობის შედეგები დააკმაყოფილებს თბილისის ზღვის მრავალრიცხოვან სტუმრებს.

ლისის ტბაზე განახლდა სანაოსნო საშუალებები, განხორციელდა გენერალური რეკონსტრუქცია: მალე დამთავრდება საბავშვო ავტოქალაქის მშენებლობა, რომლის მიზანია ბავშვთა ტრავმატიზმის პროფილაქტიკა. დღეს ყველა პარკში მოეწყობა სახალხო სეირნობანი, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, კონცერტები, გაიმართება ლექცია-მოხსენებები, საუბრები, ვიქტორინა-დისპუტები, სპორტული შეჯიბრებანი და სხვა საინტერესო ღონისძიებები.

საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წელთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება ახალი თეატრალური სანახაობანი, რომელთაც ცნობილი რეჟისორები უხელმძღვანელებენ...

ჩვენი სურვილია, ყოველ პარკში გატარებული საღამო იქცეს სასიამოვნო მოგონებად.

ასე რომ, ჩვენს დამსვენებლებს ისლა დარჩენიათ, გულით გაიხარონ, მხიარულად გაატარონ დრო და დატკბნენ ბუნების მშვენიერებით.

მაშ ასე, გველიან ჩვენს შესახვედრად მორთულ-მოკაზმული მშვენიერი ხეივნები, ნაირნაირი შადრევნები და ათასფერი ყვავილნარები.

მოდით, ვეწვიოთ პარკებს!

ი. კუკავა.

ჯვართან გვირილა შემომხვდა...
ზ. დათუაშვილის ფოტო.

იგი ჯერ ოცი წლისაა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების სხდომის მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ ერთ გამოსვლას. ეს, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ. გამომსვლელი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის მეოთხე კურსის სტუდენტი ი. გუბელაძე იყო: მან თავისი მუშაობის შედეგები გააცნო აუდიტორიას.

დიახ. ახალი და საგულისხმო სიტყვა ითქვა მათემატიკის მეცნიერებაში!

უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი გვეუბნება: „იოსებ გუბელაძემ ფრიად ანგარიშგასაწევი ნაბიჯი გადადგა მათემატიკაში. მისი ნაშრომი ემიჯნება ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთ ახალ და მნიშვნელოვან დარგებს, როგორიც არის კომუტაციური ალგებრა და ალგებრული გეომეტრია. კვლევის უაღრესად თანამედროვე მეთოდი, საკვლევი ობიექტის კლასიკურობა ნაშრომის უმთავრესი თვისებაა და დიდი ღირსებაა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე და კლასიკური საკითხების ასეთი შერწყმა ჩვენს ალგებრაში დღემდე არ ყოფილა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტმა მათემატიკოსმა ასეთი რანგის შედეგებს მიაღწია“.

მახსენდება ერთ-ერთი კომკავშირული კრება მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იმ დღეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა ი. გუბელაძე კვლევაში მოპოვებული წარმატებებისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მოკრძალებული გამოხედვა, აჩქარებული და ოდნავ ნერვიული ნაბიჯები. მოგვიანებით, საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობაზე რამდენჯერმე მოვკარით ყური მის გვარს, ი. გუბელაძე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად და საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

იოსებ გუბელაძემ 1978 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 42-ე საშუალო სკოლა და უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ის სწავლის ფრიადოსანია, სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო მათემატიკურ ოლიმპიადებში, ხოლო შარშან — სტუდენტთა ნაშრომების რესპუბლიკურ კონფერენციაზე. მისი პირველი ნაშრომი გასულ წელს დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“, — ასეთია მისი ბიოგრაფიის ძუნწი ცნობები.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილებით ი. გუბელაძე ამჟამად განთავისუფლებულია ლექციებიდან და ინტენსიურად მუშაობს სამეცნიერო გამოკვლევაზე, რომლის ნაშრომად გამოცემაც უახლოესი მომავლისათვის არის დაგეგმილი. „ეს წიგნი, სულ ცოტა, კარგი საკანდიდატო დისერტაციის დონეზეა!“ — აღნიშნა ი. გუბელაძის ხელმძღვანელმა, მათემატიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ხვედრი ინასარიძემ.

ჯერ კიდევ პირველ კურსზე ი. გუბელაძე ინტენსიურად ჩაება ეგრეთ წოდებულ პროსემინარულ მუშაობაში. სწავლების ეს ფორმა, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში დანერგა აკადემიკოსმა გ. ჭოღოშვილმა, წარმატებით გამოიყენება დღესაც.

როგორც ხ. ინასარიძესთან საუბრისას შევიტყვეთ, ი. გუბელაძე მუშაობს ალგებრის ახალ დარგში, რომელიც 70-იან წლებში შეიქმნა და ალგებრული K-თეორია ეწოდება. მან იმთავითვე პოვა მნიშვნელოვანი გამოყენება მათემატიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა ალგებრული გეომეტრია, ალგებრული ტოპოლოგია, ალგებრული რიცხვთა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი. ალგებრული K-თეორიის შექმნასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სერის პრობლემამ, რომელიც 1955 წელს წამოაყენა ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ჟან-პიერ სერმა. ეს პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა თავისუფალი ველზე აღებული მრავალი ცვლადის მრავალწევრთა რგოლზე ნებისმიერი სასრულწარმომქმნელიანი პროექციული მოდული? ხსენებული პრობლემა 1976 წელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დადებითად გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირში ა. სუსლინმა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დ. ქვილენმა. 1978 წელს ამერიკელმა მათემატიკოსმა დ. ანდერსონმა განავრცო სერის პრობლემა ველზე მრავალი ცვლადის მრავალწევრთა რგოლის ქვერგოლთა მნიშვნელოვან კლასზე, ეგრეთ წოდებულ ერთწევრებით წარმოქმნილ აფინურ ნორმალურ რგოლებზე. ანდერსონის ჰიპოთეზა შეიცავს სერის პრობლემას და მას ეწოდება სერის განზოგადებული პრობლემა ერთწევრებით წარმოქმნილი აფინური რგოლებისათვის. ი. გუბელაძემ დადებითად გადაწყვიტა და მის მიერ მიღებული შედეგი შეიცავს სერის პრობლემის ქვილენისეულ ამოხსნასაც. გარდა ამისა, მან განაზოგადა სერის ცნობილი თეორემა კრულის განზომილების შესახებ, გამოთვალა გროტენდიკის ჯგუფი და პიკარის ჯგუფი. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში K-თეორიის შემსწავლელი რამდენიმე ცენტრია: მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკსა და თბილისში. ჩვენი დედაქალაქი ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავეა.

რაც შეეხება ი. გუბელაძის პირველ წიგნს, მასში დიდი ადგილი დაეთმობა სერის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგებს.

ალბათ, ზედმეტი იქნება საუბარი ი. გუბელაძის ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე. „თუ ი. გუბელაძე, როგორც მათემატიკოსი, კვლავაც ასე კარგად განვითარდა, — თქვა აკადემიკოსმა გ. ჭოღოშვილმა, — ის წარმატებას მიაღწევს მათემატიკის სხვა დარგებშიც, ოღონდ არ უნდა მოსწყდეს ძირითად სფეროს, სანამ იქ ამომწურავ სიტყვას არ იტყვის. მან უნდა შემოიკრიბოს ნიჭიერი ახალგაზრდობა და ერთობლივად იმუშაონ პრობლემის გადაწყვეტაზე“.

პრობლემებს კი რა დალევს და, მით უმეტეს, მათემატიკაში!

ლ. ნადარეიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

სურათზე. იოსებ გუბელაძე.
შ. ჩაჩუას ფოტო.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. ფინეთში დამთავრდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები შაიბიან ჰოკეიში. როგორც უკვე ცნობილია, საბჭოთა ნაკრებმა საკმაოდ ადრე გაინაღდა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ჩემპიონთა წოდება. სსრ კავშირის ნაკრებმა ბოლო ორი მატჩი ასეთი შედეგებით დაასრულა: შვეციის ნაკრებთან გაიმარჯვა ანგარიშით 4:0, ჩეხოსლოვაკიის გუნდთან კი ფრედ ითამაშა — 0:0. მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საუკეთესო ოთხეულში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 19 ქულა, ჩეხოსლოვაკია—12 (გატანილი და მიღებული შაიბების უკეთესი სხვაობით), კანადა — 12, შვეცია — 9 ქულა.

ხელბურთი. მოსკოვსა და კიევში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტური. მოსკოვში ასპარეზობდნენ I-VI ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები, კიევში — VII-XII ადგილებისთვის. მოსკოვის ჯგუფში 44 ქულით ლიდერის მყარი პოზიციები დაიკავა ცსკამ. მომდევნო ადგილებზე არიან მინსკის ასკ — 38 ქულა, მოსკოვის „კუნცევო“ — 34, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 32, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 28, რიგის „ცელტნიექსი“ — 24 ქულა. 11 მაისს ეს გუნდები მინსკში შეიკრიბებიან და საბოლოოდ იქ გაირკვევა პრიზიორთა ვინაობა. კიევში მეხუთე ტურის შემდეგ გუნდები VII-XII ადგილებზე ასე განლაგდნენ: კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი და ჩელიაბინსკის „პოლიოტი“ — 26-26 ქულა, თბილისის „ქარიშხალა“ — 23, კაუნასის „გრანიტასი“ და კიევის ასკ — 22-22, ქალაქ ტირასპოლის გუნდი — 6 ქულა. ამ ჯგუფის გუნდების დასკვნითი ტურნირი გაიმართება კრასნოდარში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ყურადღება!

ნუ დაივიწყებთ, რომ აუცილებელია სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა.

უნდა გახსოვდეთ!

არ შეიძლება ბენზინისა და სხვა ადვილად აალებადი სითხეების გამოყენება იატაკის მოსაწმენდად და მასტიკის გაცხელება ღია ცეცხლზე ან ელექტროქურაზე.

დაუშვებელია ანთებული ნავთქურის, გაზქურის და ჩართული ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების უმეთვალყუროდ დატოვება ან მათთვის შეუძლებელ ადგილზე მიწოდება ბავშვებისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

ტელევიზია

შაბათი, 1 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს სამშობლოში“. კინომიმოხილვა, 10.15 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება, 10.50 — მოსკოვი. წითელი მოედანი. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა. დამთავრების შემდეგ — 12.30 — საზეიმო პიონერული კონცერტი. 12.55 — ბრძოლისა და შრომის პოეზია, 13.30 — „სპორტლოტო“, 13.35 — საბავშვო ფილმი. „თემური და მისი რაზმი“. პირველი და მეორე სერია, 15.40 — დოკუმენტური ტელეფილმების პროგრამა ციკლიდან „მოთხრობები ციმბირის შესახებ“. 16.20 — ცხოველთა სამყაროში, 17.20 — ფილმ-ბალეტის „ანიუტას“ პრემიერა, 18.30 — მულტფილმები, 19.00 — საზეიმო „ცისფერი ეკრანი“, 22.00 — რეპორტაჟი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის 1 მაისის დღესასწაულის შესახებ, 23.00 — მსოფლიო უძლიერეს ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები.

მეორე პროგრამა: 9.00 — დილის ვარჯიში, 9.15 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო, 10.25 — საბავშვო ფილმი, 10.50 — მოსკოვი. წითელი მოედანი. 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა, 12.30 — საზეიმო პიონერული კონცერტი, 13.00 — არქიტექტურა. სსრ კავშირის კურორტები და ჯანმრთელობის კერები, 13.35 — პრემიერა ფილმ-კონცერტისა „ავკვდი, ჩემო ქვეყანავ!“, 14.30 — 1982 წლის ლენინური პრემიების ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში, 15.30 — „კარგი გუნება“. კონცერტი. 15.30 — ჩარლი ჩაპლინი. ცხოვრების ფურცლები, 17.00 — პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „ბეგმები და ცხოვრება“. ჟუბანის მხარე, 17.30 — ა. არბუზოვი — „ძველმოდური კომედია“. მოსკოვის ვ. მაიაკოვსკის სახელობის აკადემიური თეატრის ფილმ-სპექტაკლი, 19.00 — დოკუმენტური ტელეფილმი, 19.50 — ახალგაზრდების მისამართი, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“, 21.15 — ომსკრეპტორია სარანის მთებში, 22.00 — რეპორტაჟი 1 მაისის დღესასწაულის შესახებ, 23.00 — მხატვრული ფილმი „უდაბნოს თეთრი მზე“.

თბილისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია“ (მ), 9.40 — კინოპროგრამა „საბჭოთა კავშირში“, 9.50 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა თბილისიდან და მოსკოვიდან, 12.30 — საზეიმო კონცერტი (მ), 13.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ცისფერი ტბები“, 13.30 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 14.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 14.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“, 15.00 — „საბჭოთა სიმღერის კონცერტი“, 16.20 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 16.25 — „კინოაფიშა“, 16.55 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 17.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსაჯი“. პრემიერა, 18.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 18.20 — ხალხური შემოქმედება, 19.15 — „უკრავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სეისტრადო ორკესტრი“, 20.00 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, 1 მაისისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი, 21.30 — კონცერტი, 22.00 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, 1 მაისისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი (მ), 23.00 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი“ სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ავი მაღლი“. I და II სერია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС   უე 08244   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.   1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20